

სასამართლო სისტემის სტრატეგია

2017-2021 წლებისთვის

სამუშაო ვერსია

I. შესავალი	1
II. სტრატეგიის ფორმირების მეთოდოლოგია	2
III. დოკუმენტის სტრუქტურა	4
IV. წინარე ისტორია	4
V. სასამართლო სისტემის მისია და ხედვა	6
VI. I სტრატეგიული მიმართულება: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	7
VII. II სტრატეგიული მიმართულება: ანგარიშვალდებულება	16
VIII. III სტრატეგიული მიმართულება: მართლმსაჯულების ხარისხი და პროფესიონალიზმი	23
IX. IV სტრატეგიული მიმართულება: სასამართლო სისტემის ეფექტიანობა	29
X. V სტრატეგიული მიმართულება: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა	37
XI. სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი	44

I. შესავალი

სასამართლო სისტემის რეფორმა სახელმწიფო მნიშვნელობის პროცესია, რომელიც ემსახურება სასამართლოს დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, კვალიფიციურობის, ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. იგი უნდა ითვალისწინებდეს ერთის მხრივ გარემოში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს და მეორე მხრივ საერთაშორისო და საუკეთესო პრაქტიკას. სასამართლომ ისტორიაში პირველად დაიწყო თავად სასამართლო სისტემის სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც არის ერთგვარად წინა რეფორმებისა და სხვადასხვა უწყებების ინიცირებული პროგრამების გაგრძელება¹, განსაკუთრებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიცირებული 3 ეტაპიანი რეფორმისა და უწყებათშორისი საბჭოების სტრატეგიების. თუმცა ეს დოკუმენტი ასახავს არამთლიანად მართლმსაჯულების სტრატეგიას, არამედ თავად სასამართლო

¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული ე.წ. მესამე „ტალღა“; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია; საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია; ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

სისტემის სტრატეგიულ პრიორიტეტებს და მიზნების განხორციელების მთავარ ზომებს.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სასამართლო სისტემამ მნიშვნელოვანი ეტაპები განვლო და პროგრესი განიცადა. ამასთან ერთად, საზოგადოებაში სისტემის მიმართ მოლოდინი ბევრად გაიზარდა და საზოგადოების მხრიდან სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მოთხოვნაც ბევრად უფრო მწვავეა. სასამართლო ხელისუფლება მობილიზებული და მოტივირებულია, რომ გააგრძელოს წინა პერიოდში და მიმდინარე პოზიტიური ნაბიჯები და ამასთან ერთად, მოახდინოს სათანადო რეაგირება არსებულ ნაკლოვანებებზე, მაქსიმალურად უპასუხოს საზოგადოების ახალ საჭიროებებს, უზრუნველყოს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, განხორციელოს თანაბარი მართლმსაჯულება და სტრატეგიული ხედვა და პრიორიტეტებიც ამ დანიშნულების გარშემო ააგოს.

აღსანიშნავია, სასამართლო სისტემის განვითარების მნიშვნელობა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის. შესაბამისად, ეს სტრატეგია ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სასამართლოების მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს, იმისათვის რომ სისტემაში მიმდინარე ცვლილებები მაქსიმალურად ეხმარებოდეს საქართველოს სწრაფვას ევრო-ატალნტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანებისკენ.

სტრატეგიის დამუშავებაში და ტექსტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო, როგორც სასამართლო სისტემის, ისე დაკავშირებული უწყებებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სამუშაო ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ და სტრატეგიული მიმართულებების განსახილველ ალტერნატივებს უშუალოდ ამზადებდნენ შემდეგი პირები: ევა გოცირიძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, თამარ ალანია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი/მოსამართლე, კანაბერ სოფრომაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ნინო გვენეტაძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ასევე, მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს შემდეგმა პირებმა: ალექსანდრე წულაძე, ანა შალამბერიძე, უმანგი ბახტაძე, შორენა გიგაური.

II. სტრატეგიის ფორმირების მეთოდოლოგია

სასამართლო სისტემის სტრატეგიის შექმნის მიზანია სასამართლოს გააჩნდეს ცხადი ხედვა თუ რა მიმართულებით სურს განვითარება მომდევნო 5 წლის განმავლობაში და რა ტაქტიკური ნაბიჯები უნდა გადადგას დასახული მიზნების მისაღწევად.

სასამართლო სისტემის სტრატეგიის შემუშავების მიზნით შეიქმნა სტრატეგიული კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტდა როგორც სისტემაში მომუშავე პირებისგან, ისე დაკავშირებული მხარეებისგან. მათ შორის არიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების

წარმომადგენლები და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომიტეტი დაიყო ოთხ ჯგუფად, 4 სტრატეგიული მიმართულების გარშემო:

- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- ანგარიშვალდებულება;
- ხარისხი და ეფექტიანობა;
- ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა და სანდოობა.

დოკუმენტში ასახული საკითხები მომზადდა სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ და განხილულ იქნა სამუშაო ჯგუფებში. სტრატეგიისა და დოკუმენტის ფორმირების ფასილიტაციას ახორციელებს საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფი“.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები

50-მდე ინტერვიუ:

- სასამართლოს შიგნით: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, საბჭოს აპარატის მენეჯმენტი, სასამართლოების მენეჯმენტი, სკოლის წარმომადგენლები, ინდივიდუალური მოსამართლეები.
- დაინტერესებული მხარეებთან: იუსტიციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, პარლამენტი, პროკურატურა, ომბუდსმენი, იურისტები, იურიდიული დახმარების სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო წარმომადგენლობები: ამერიკის საელჩო, EU წარმომადგენლობა საქართველოში, UNDP, USAID; დამოუკიდებელი ექსპერტი ბრენდინგსა და კომუნიკაციებში.

ონლაინ გამოკითხვა:

- კითხვარი დაეგზავნა ყველა მოსამართლეს, სასამართლო მოხელესა და აპარატის თანამშრომლეს;
- მიღებულ იქნა 40-მდე გამოხმაურება, რომელზე დაყრდნობითაც გაკეთდა მოკლე ანალიზი.

შეხვედრები სამუშაო ჯგუფებთან:

- თითოეულ სამუშაო ჯგუფთან გაიმართა 4-6 სამუშაო შეხვედრა (რომელსაც წინ უძღოდა ჯგუფის ხელმძღვანელებთან მოსამზადებელი შეხვედრები) და განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:
 - ✓ მთავარი გამოწვევები, პრობლემები და ის შესაძლებლობები, რაც დღეს დგას სასამართლოს წინაშე;
 - ✓ მთავარი ამოცანები, რასაც ფარავს სტრატეგიის თითოეული მიმართულება;
 - ✓ მთავარი აქტივობები/პროგრამები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად;
- ჩატარდა კომიტეტის 4 შეხვედრა, სადაც მოხდა პრიორიტეტებისა და სტრატეგიული მიმართულებების გამოკვეთა, ამოცანების გადაწყვეტის

მიდგომების განხილვა და თითოეული სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენა

III. დოკუმენტის სტრუქტურა

დოკუმენტი დაყოფილია 4 ძირითად ნაწილად. პირველი ნაწილი ასახავს სასამართლო სისტემის წინარე ისტორიას, წინა რეფორმების შედეგებს და გავლენას დღევანდელობაზე. მეორე ნაწილი ასახავს სასამართლოს მისიასა და სასამართლო ხელისუფლების ხედვას სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით. შემდგომი ნაწილი ეხება 5 სტრატეგიულ მიმართულებას და მიმოიხილავს თითოეული მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ძირითად ამოცანებს და მიზნის მიღწევის მთავარ ზომებს. ბოლო ნაწილი კი ეხება სტრატეგიის განხორციელების მექანიზმს და მონიტორინგისა და შეფასების პროცედურას.

დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინთა მოკლე განმარტება

სტრატეგიული მიმართულება - სისტემის წინაშე მდგარი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც წარმოადგენენ მთავარ ღერძ(ებ)ს, სასამართლოს მისიისა და დანიშნულების რეალიზაციისთვის

გამოწვევა - ერთგვარი რისკის მატარებელი აქტუალური საკითხი, შესაძლებლობა ანდა საფრთხე, რომელიც მოთხოვს დროულ რეაგირებას, რათა არ გახდეს უარყოფითი შედეგების მომტანი.

ამოცანა - პერმანენტული ხასიათის საკითხი, რომელიც მოითხოვს მიზანმიმართულ და უწყვეტ მუშაობას სასურველი შედეგების მისაღწევად.

მთავარი ზომები - სტრატეგიული გაიდლაინები და ქვემიმართულებები, რომელიც ემსახურება კონკრეტული ამოცანის გადაჭრას.

IV. წინარე ისტორია

(წინა პერიოდისა და რეფორმების გავლენა დღევანდელობაზე)

საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებიდან იწყება სასამართლო ხელისუფლების ცალკე სახელისუფლო შტოდ ჩამოყალიბება და განვითარება. 1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიღებით დაიწყო პირველი სისტემური სასამართლო რეფორმა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპის

რეალიზება და ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ფორმირება.

სასამართლოს ძირეული რეფორმა 2005 წელს დაიწყო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სასამართლო სისტემის ინსტიტუციური რეორგანიზაცია იყო, რაც გულისხმობდა პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების ფუნქციონირებას. არსებითი ცვლილებები იქნა განხორციელებული საქართველოს კონსტიტუციაში 2006 წელს, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებიდან გავიდა მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხები და აღნიშნული უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ამ პერიოდში დაიწყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო სამართალწარმოების მექანიზმის დახვეწა. შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი სკოლა. დამტკიცებულ იქნა მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები და დაიწყო მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები ჩატარება სპეციალიზაციის მიხედვით. 2007 წლის 4 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სისხლისსამართლებრივი წესით აღარ არის დასჯადი მოსამართლის მიერ უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა. 2010 წელს საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტი.

მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური რეფორმა გაგრძელდა ე.წ. „ტალღების“ სახელით. 2012 წლის ნოემბერში იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით დაიწყო რეფორმის პირველი ეტაპი, რომელიც დამტკიცდა 2013 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტის მიერ. ეს ცვლილებები ემსახურებოდა სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის გაძლიერებას. მათ შორის აღსანიშნავია, რომ დასაშვები გახდა სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა, გაიზარდა მოსამართლეთა ჩართულობა იუსტიციის უმაღლესი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება დანიშნოს წევრები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის ფორმირების წესი, გაიზარდა მოსამართლეთა ჩართულობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებისა და ზოგადად სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

რეფორმის მეორე ეტაპზე 2014 წელს ორგანული კანონის მიხედვით და კონსტიტუციით განსაზღვრული შესაძლებლობის შესაბამისად, დადგინდა მოსამართლის განწესება 3 წლის ვადით, აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა თანამდებობაზე სამი წლის ვადით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბება და ამოქმედება. მნიშვნელოვანი იყო სასამართლოსთვის 2014 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი, რომელიც ასევე გულისხმობდა მართლმსაჯულების განხორციელებისას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას, მათ შორის სასამართლოში.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ეტაპი დამტკიცებულ იქნა 2017 წელს, რომელიც მთავარ აქცენტს აკეთებს თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერებაზე, სასამართლოს ადმინისტრირების

გაუმჯობესებასა და ეფექტიანობის გაზრდაზე. დამტკიცებული ცვლილებები ითვალისწინებს დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სამართალწარმოების პროცედურის დახვეწას, საქმეების შემთხვევითი ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვას, მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და მახასიათებლების კანონმდებლობის დონეზე განსაზღვრას, მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნას, რომელმაც უნდა იზრუნოს სასამართლოების დატვირთულობის, საქმეთა ნაკადის მართვის, მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებაზე. მესამე „ტალღის“ მიხედვით თანამდებობაზე განწესების 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა არ ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს, როგორც მოქმედ, ისე ყოფილ წევრებზე.

მართლმსაჯულების რეფორმირება ქვეყნის შიგნით შექმნილი და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სტრატეგიების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და არის, მათ შორის აღსანიშნავია სისხლის სამართლის რეფორმის და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიები, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ სასამართლო სისტემის მხრიდან სათანადო გარანტიების შექმნას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფისთვის.

V. სასამართლო სისტემის მისია და ხედვა

სასამართლოს მისია:

- განმარტოს კანონი და გადაწყვეტოს სასამართლო დავები სამართლიანად, კანონის შესაბამისად, განჭვრატადობის უზრუნველყოფითა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანით; ყველასათვის უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება და ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას;
- განხორციელოს თანაბრად ხელმისაწვდომი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება საჯარო პროცესის მეშვეობით; მოეპყრას მხარეებს ღირსებითა და პატივისცემით;
- იზრუნოს ადამიანის უფლებების დაცვისა და საერთო კეთილდღეობისათვის, ემსახუროს ხალხს, მის მუდმივად ცვლად ინტერესებსა და საჭიროებებს;
- ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სტაბილურობასა და ჰარმონიას, არსებული სამართლებრივი სისტემის სამართლიანობისადმი ხალხის ნდობის შენარჩუნებას;

სასამართლო ხელისუფლების ხედვა:

- უზრუნველყოს მოსამართლის ინდივიდუალური და სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა; იმ საფრთხეების აღმოფხვრა, რომ

მოსამართლის გადაწყვეტილებამ გავლენა მოახდინოს მისი უფლებამოსილების ვადაზე, ანაზღაურებასა ან უსაფრთხოებაზე;

- სასამართლო სისტემაში დანერგოს და ამოქმედოს „კარგი მმართველობის“ პრინციპები, უზრუნველყოს სასამართლოს ეფექტიანი მმართველობა და ფუნქციონირება და შექმნას საფუძველი იმისა, რომ სასამართლო ხელისუფლება იყოს ძლიერი, ავტორიტეტული და კორუფციისაგან თავისუფალი;
- უზრუნველყოს უმაღლესი იურიდიული და ადმინისტრაციული სტანდარტი, იზრუნოს სასამართლოს მოდერნიზაციის, ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისათვის; ადამიანური რესურსების განვითარების, მათი მოტივაციის გაძლიერების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდისათვის;
- იყოს ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე კანონისა და ეთიკის ნორმების დაცულობის, სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი გამოყენების, თავისი საქმიანობის გამჭვირვალების, ღიაობისა და მასში საზოგადოების ფართო ჩართულობის მეშვეობით;
- მართლმსაჯულების თვალსაჩინოების უზრუნველყოფითა და თავისი ფუნქციების კეთილსინდისიერი შესრულებით დაიმსახუროს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა;

VI. I სტრატეგიული მიმართულება: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

სტრატეგიული მიმართულების განმარტება

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება სამართლიანი მართლმსაჯულების აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც ვერ მიიღწევა სამართლის უზენაესობა საზოგადოებაში, ადამიანის უფლებათა დაცვა და არსებული სამართლებრივი სისტემისადმი ნდობის შენარჩუნება. უახლესი წარსული მოწმობს, რომ ამ მიმართებით უამრავი გამოწვევის წინაშე დგას ქართული მართლმსაჯულება. სტრატეგიის ამ ნაწილის მიზანია ამ გამოწვევების იდენტიფიცირება და ამის კვალობაზე განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა. ხოლო შემდგომ, კონკრეტულ ღონისძიებათა დაგეგმვა განვითარების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

სტრატეგია ერთი მხრივ, ითვალისწინებს ქართულ რეალობასა და სპეციფიკას, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სფეროში საერთაშორისო მიდგომებსა და სტანდარტებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებულ განმარტებებს, რომლებიც შეეხება სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც არსებითი კომპონენტია საქმის სამართლიანი განხილვის უფლების უზრუნველსაყოფად.

ასევე, სტრატეგია ითვალისწინებს და ამკვიდრებს ყველა იმ ფუძემდებლურ პრინციპს, რომლებიც გადმოცემულია სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ უმთავრეს საერთაშორისო ინსტრუმენტებში, როგორც არის მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპული ქარტია, მოსამართლეთა მაგნა კარტა, ბანგალორის პრინციპები და სხვა.

გამოწვევები

1. დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიების ნაკლებობა:

სასამართლოს დამოუკიდებლობის არასაკმარისი საკანონმდებლო გარანტიები, მოსამართლის დისკრეციის მეტისმეტად შემზღვეველი მატერიალური და საპროცესო ნორმები; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სასამართლოს თავმჯდომარეების საქმიანობისა მარეგულირებელი ნორმების ხარვეზიანობა; მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის სისტემის არაეფექტურობა, ინფორმაციის მოპოვების მეთოდის არარსებობა, დანიშვნაზე უარის გასაჩივრების შეუძლებლობა;

2. რისკები, წარმომდგარი მოსამართლეთა შერჩევა- დანიშვნისა და კარიერული წინსვლის სიტემის ერაეფექტურობიდან:

მოსამართლის დაწინაურების სიტემისა და კრიტერიუმების ბუნდოვანება, პროფესიული შეფასების შედეგებთან მისი დაუკავშირებლობა; შიდა და გარე კონკურსების ჩატარების შეუძლებლობა;

3. რისკები, გამომდინარე მენეჯმენტის ხარვეზიანობიდან:

რისკები, რომლებსაც მოსამართლეთა დამოუკიდებლობისათვის წარმოშობს მოსამართლის მივლინების ინსტიტუტი, მოსამართლეთა სიმცირე, საქმეთა ელექტრონული განაწილების არარსებობა, საქმეებით გადატვირთულობა და არათანაბარი დატვირთულობა, სპეციალიზაციის პრინციპების დარღვევა და რეგიონის მოსამართლეების ნაკლები ჩართულობა;

4. რისკები, დაკავშირებული უფლებამოსილების ვადასთან:

საგამოცდო ვადით დანიშვნა მიუხედავად საამოსამართლო გამოცდილებისა და მისი ხანგრძლივობისა, ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების შეუძლებლობა; უზენაესი სასამართლოს წევრების გამორიცხვა მუდმივი ვადით დანიშვნისაგან;

5. სოციალური გარანტიების არასაკმარისობა

მოსამართლის ანაზღაურების დაანგარიშების არასამართლიანი და არაეფექტური სისტემა, საამოსამართლო და საერთო სტაჟის გაუთვალისწინებლობა, არასამართლიანი მიდგომების სხვადასხვა ინსტანციის

მოსამართლეებისადმი, პენსიების არაადეკვატური ოდენობა; ხელფასებისა და პენსიების დაუცველობა ინფლაციისაგან;

6. დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის ბალანსის არარსებობა;
მოსამართლეებში დამოუკიდებლობის ხარისხის ადეკვატური ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის არასაკმარისობა, ზოგჯერ შინაგანი დამოუკიდებლობის დაბალი შეგნება, საერთაშორისო სამართლის გამოყენების აუცილებლობის დაბალი შეგნება;

რისკი, რომელიც წარმოიშობა მოსამართლეთა პერიოდული პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემის არარსებობით, მუდმივი ვადით გამწესების პირობებში; კანონის არაკეთილსინდისიერად დარღვევის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის შეუძლებლობა; რეაგირების საშუალებების არარსებობა მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ, ვინც საბჭოს წევრებზე მიუღებელ მეთოდებს მომართავს;

7. რისკები, განპირობებული არასათანადო ცნობიერებით

მოსამართლეებში დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების შინაგანი განცდის ნაკლებობა, საერთაშორისო სამართლის გამოყენების აუცილებლობის დაბალი შეგნება;

სასამართლოს დამოუკიდებლობის აღიარების დაბალი ხარისხი საზოგადოებაში, პოპულიستي პოლიტიკოსებისა და მედიის მხრიდან წარმომდგარი საფრთხე, სასამართლოსთან მიმართებაში დასაშვები კრიტიკის ფარგლების სტანდარტების დაუცველობა, განხილვაში მყოფი საქმეების გაშუქების სტანდარტების არარსებობა;

8. დამოუკიდებლობის ხელყოფის პრევენციისა და დამცავი მექანიზმების ნაკლებობა

ზეწოლის, არასათანადო კომუნიკაციის შემთხვევებისა და გავლენიანი ჯგუფების ჯერ კიდევ არსებობა, მოსამართლის დაუცველობა უსამართლო კრიტიკის დროს, შესაბამისი რეაგირების მექანიზმების არარსებობა ან არაქმედითობა, მოსამართლეების შემოქმედებითი მიდგომების წაუხალისებლობა; განსხვავებული აზრის შედგენის დაბალი კულტურა;

9. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საჩინარობის არასაკმარისობა

დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საჩინარობის შემოწმების სისტემისა და მეთოდის არარსებობა, ტრაფარეტული გადაწყვეტილებების სიხშირე; სამოსამართლო ეთიკის ნორმების ბუნდოვანება, მათი არასაკმარისი სწავლება და ტრენინგი ამ სფეროში; საბჭოს წევრების აცილების რეგულაციების არარსებობა; საზოგადოებასთან სასამართლოს არაეფექტიანი კომუნიკაცია;

მთავარი ამოცანები

1. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
2. სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
3. მოსამართლეთა მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;

4. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საჩინარობის (თვალსაჩინოების) უზრუნველყოფა;
5. დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის ხელისშემშლელი ფაქტორებისა და საფრთხეების პრევენცია.

მთავარი ზომები, ამოცანებისა და გამოწვევების საპასუხოდ

1. სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება კონსტიტუციით

- I. უნდა აიკრძალოს მოსამართლის საგამოცდო ვადით დანიშვნა სამივე ინსტანციაში. თუმცა, ამ ნორმის ამოქმედება შეიძლება გადავადდეს იმ დრომდე, სანამ არ მოხდება საკვალიფიკაციო გამოცდის, კანდიდატთა შერჩევისა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, სკოლაში სწავლის ხანგრძლივობს გაზრდა და სანამ არ ჩამოყალიბდება მოსამართლეთა მუდმივი პროფესიული შეფასების ეფექტიანი სისტემა.
- II. უნდა დადგინდეს უზენაესი სასამართლოს წევრების არჩევა სამუდამო ვადით და არჩევის განახლებული წესი, კრიტერიუმები და პროცედურა; პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებით როლს კანდიდატურების წარდგენისას. ეს როლი შეიძლება გამოიხატებოდეს კანდიდატის თაობაზე აზრის, წინადადების ან რეკომენდაციის მიცემით, სასურველია, რომ წინადადებას გააჩნდეს სავალდებულო ძალა;
- III. დადგინდეს, რომ მოსამართლეს აქვს ფუნქციური იმუნიტეტი და რომ მის წინააღმდეგ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის შეტანა, თუ ზიანის გამოწვევა დაკავშირებულია მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებასთან; გაიწეროს იმუნიტეტის მოხსნის ცხადი და გამჭვირვალე პროცედურა;
- IV. ადამიანის უფლებათა თავს დაემატოს ადამიანის უფლება, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ;
- V. გათვალისწინებულ იქნეს დამოუკიდებლობის სხვა გარანტიები (მაგალითად, გათვალისწინებულ იქნეს, რომ სასამართლო ახორციელებს თვითმართვასა და ადმინისტრირებას; აიკრძალოს მოსამართლეებისათვის არა მარტო ანგარიშის მოთხოვნა კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გამო, არამედ, მისთვის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი მითითება, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საქმეზე. ასევე უნდა აიკრძალოს ანგარიშის მოთხოვნა საქმეზე შედგენილი განსხვავებული აზრის გამოც.);
- VI. მკვეთრად უნდა განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი, ფუნქციები და დამოუკიდებლობა, ასევე, მისი ანგარიშვალდებულება მხოლოდ მოსამართლეთა კონფერენციისა და საზოგადოების წინაშე;

2. მოსამართლის დანიშვნისა და დაწინაურების სისტემის სრულყოფა

- I. კანონით ცხადად უნდა განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი სკოლის როლი და ფუნქციები;
- II. უნდა დაინხვეწოს იუსტიციის სკოლის მსმენელებისა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურა; უნდა შეიქმნას და პრაქტიკაში დაინერგოს კანდიდატების შესახებ რელევანტური ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ეფექტიანი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას შექმნის, შერჩეულ იქნეს ყველაზე პრინციპული, კომპეტენტური და მაღალი მორალური თვისებების მქონე კანდიდატები;
- III. შემუშავებულ უნდა იქნეს მოსამართლის დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება მოსამართლეთა მუდმივი პერიოდული შეფასების შედეგებთან; კანონით ზუსტად უნდა განისაზღვროს პროცედურა და ორგანოები, ვინც შეფასებას განახორციელებს; ამასთან, დაწინაურების კრიტერიუმებისა და პროცედურა უნდა გაიმიჯნოს მოსამართლის დანიშვნის კრიტერიუმებისა და პროცედურებისაგან;
- IV. უნდა განხორციელდეს სასამართლოს თავმჯდომარეთა ინსტიტუტის გაჯანსაღება, თავმჯდომარეთა არჩევის წესის, ვადებისა და კომპეტენციის გადახედვა; წესის შემოღება, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნამდე მოსამართლეს გავლილი უნდა ჰქონდეს მართვისა და მენეჯმენტის სპეციალური თეორიული და პრაქტიკული კურსი;
- V. უნდა დაინერგოს სკოლის მსმენელების, მოსამართლეობისა და თავმჯდომარეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს ღია კენჭისყრის წესი, და ამის კვალობაზე, კანდიდატთა შეფასების დასაბუთების და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი;

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს თვითმმართველობის განვითარება

- I. უნდა განმტკიცდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუტის, დამოუკიდებლობა, დაინხვეწოს საბჭოს დაკომპლექტების წესი; გაიწეროს საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრთა არჩევის/დანიშვნის ობიექტური კრიტერიუმები და გამჭვირვალე პროცედურა; პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს საბჭოში ყველა ინსტანციის სასამართლოს და, შეძლებისდაგვარად, რეგიონების სასამართლოების წარმომადგენლობა; **თავიდან უნდა იქნეს აცილებული პარლამენტის წევრების არჩევა საბჭოში. (ეს უკვე უზრუნველყოფილია)**
- II. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დაინერგოს როტაციის პრინციპი, რას იმას ნიშნავს, რომ საბჭოს მდივნის ფუნქციას პერიოდულად უნდა ასრულებდეს საბჭოს სხვადასხვა წევრი. ამასთან, შემოღებულ იქნეს წესი, რომელიც დაადგენს საბჭოს შემადგენლობის ნახევრის (ან ერთი მესამედის) თანდათანობით განახლებას საბჭოს ინსტიტუციური მეხსიერების განგრძობადობისა და საბჭოს ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

- III. უნდა გაძლიერდეს სასამართლოს თვითმმართველობა, მოსამართლეთა კონფერენციის როლი და დადგინდეს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია მხოლოდ მოსამართლეთა კონფერენციის და საზოგადოების წინაშე.
- IV. უნდა დგინდეს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები, მოსამართლეების მსგავსად, ადჭურვილნი არიან ფუნქციური იმუნიტეტით და სარგებლობენ სოციალური დაცვის მსგავსი გარანტიებით; ხელი უნდა შეეწყოს საზოგადოებაში ცნობიერების დამკვიდრებას, რომ ისინი მიეკუთვნებიან სასამართლო ხელისუფლებას და ანგარიშვალდებულნი არ არიან იმ ხელისუფლების ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა წინაშე, ვის მიერაც არიან ისინი არჩეული თუ დანიშნული ამ თანამდებობაზე;
- V. ზრუნველყოფილ უნდა იქნეს სასამართლოს წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა დისკუსიაში ყველა იმ კანონპროექტისა თუ რეფორმის საკითხებზე, რაც კი სასამართლოს შეეხება; მათ შორის, შემოღებულ უნდა იქნეს მათი პარლამენტში განხილვის დროს სასამართლოს წარმომადგენლების სავალდებულო მონაწილეობის უზრუნველყოფი რეგულაციები;

4. სასამართლო ხელისუფლების დაცვის შიდა მექანიზმების გაძლიერება

- I. უნდა დადგინდეს მოსამართლისათვის ქმედითი მისაგებელი (legal remedy)-უფლება, მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და შესაბამისი პროცედურა, რომელსაც მოსამართლე გამოიყენებს, როდესაც მიაჩნია, რომ მის უფლებებს, დამოუკიდებლობას თუ კანონიერ პროცედურებს რაიმე ფორმით საფრთხე ემუქრება ან უგულვებელყოფილია. დამოუკიდებელი ორგანო უნდა აღიჭურვოს კონკრეტული ეფექტიანი საშუალებებით, დაიცვას მოსამართლე შიდა თუ გარე ზეგავლენებისაგან, გამოსწოროს მდგომარეობა ან შესთავაზოს მისი გამოსწორება; (მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია, ნაწ. 1.4.);
- II. მოსამართლეთა კორპუსის ფართო ჩართულობით უნდა განხორციელდეს მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობის იმ ნორმათა იდენტიფიცირება და შეცვლა, რომლებიც მეტისმეტად ზღუდავს მოსამართლის მიხედულების ფარგლებს და არ იძლევა შინაგანი რწმენის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;
- III. ყოველმხრივ უნდა შეწყოს ხელი მართლმსაჯულების განხორციელების დროს შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებას, განსხვავებული (თანმხვედრი ან საპირისპირო) აზრის შედგენის კულტურის ამაღლებას;
- IV. უნდა გაიზარდოს რეგიონის მოსამართლეები ჩართულობა სასამართლო სისტემის მართვასა თუ რეფორმირებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;
- V. უნდა შემცირდეს რისკი, რომ საქმეთა გადატვირთულობამ მოსამართლეები არ გახადოს მოწყვლადი და ამან უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მათი დამოუკიდებლობის ხარისხზე.²

² ამ მიზნით დროულად უნდა ამოქმედდეს საქმეთა შემთხვევითი, თანაბარი და სპეციალიზაციის მიხედვით განაწილების ელექტრონული სისტემა, საქმეთა წონითი

5. მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა

- I. ორგანული კანონით უნდა დადგინდეს მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი და განისაზღვროს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური სანქციის ან კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. შესწავლილ უნდა იქნეს, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკაში აღნიშნული პრინციპებისა და სტანდარტების დაცვა;
- II. ორგანული კანონით უნდა დადგინდეს, რომ სამართლებრივი ნორმის განმარტებამ, ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასებამ არ შეიძლება გამოიწვიოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა, გარდა შემთხვევისა, როდესაც დადასტურებულია ბოროტი განზრახვის არსებობა; (ევროპის საბჭოს რეკომენდაცია)
- III. უნდა განხორციელდეს მოსამართლეთა მივლინებების ინსტიტუტის სწორი რეგულირება, იმგვარი საკანონმდებლო გარანტიების შემუშავება, რომელიც ბოლომდე აღმოფხვრის ამ ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას მოსამართლის დამოუკიდებლობის საზიანოდ; ორგანული კანონით უნდა აიკრძალოს მისი სხვა სასამართლოში გადაყვანა მოსამართლის თავისუფალი ნების გარეშე; გამონაკლისი შეიძლება უკავშირდებოდეს სასამართლოს რეორგანიზაციის საჭიროებას;

6. ანაზღაურებისა და საპენსიო სისტემის გამართვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

- I. კანონით შემოღებულ უნდა იქნეს ხელფასებისა და პენსიების განსაზღვრის ერთიანი სქემა ყველა მოსამართლისათვის ერთგვაროვანი და სამართლიანი მიდგომების გამოყენებით; ორგანული კანონით უნდა დადგინდეს, რომ მოსამართლეს აქვს შეუმცირებადი ხელფასისა და პენსიის უფლება, რაც გულისხმობს ხელფასისა და პენსიების დაცვას ინფლაციისაგან;
- II. მოსამართლის ხელფასისა და დანამატის ფიქსირებული ოდენობა დადგენილი უნდა იყოს კანონით;
 - შესწავლილი უნდა იქნეს გავრცელებული სახელფასო ევროპული მოდელები (იტალია, ავსტრია, სლოვენია..), შერჩეული მოდელი გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონით;

სისტემის აპრობირებული მეთოდის გამოყენებით სწორად განისაზღვროს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა, აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს მათი რაოდენობის გაზრდა, ხელი შეეწყოს საქმის წარმოების ეფექტიან მენეჯმენტსა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენებას.

- უნდა განისაზღვროს, ვინ წყვეტს სახელფასო დანამატის საკითხს და რა საფუძველზე დაყრდნობით;
- უარი უნდა ითქვას დანამატების გაცემაზე და ბონუსებზე, რომელიც ემყარება მოსამართლის საქმიანობის შედეგებს;

III. საპენსიო სისტემა უნდა გადაიხედოს; ორგანული კანონით უნდა დადგინდეს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლეს პენსიით, რომელიც თავისი ოდენობით მიახლოებული უნდა იყოს მის ბოლო სამოსამართლო ხელფასთან; უნდა აღმოიფხვრას დისპროპორციული განსხვავება უზენაესი სასამართლოს და ქვედა ინსტანციის მოსამართლეების პენსიების ოდენობებს შორის;

7. სასამართლოს საფინანსო- საბიუჯეტო დამოუკიდებლობის განმტკიცება

- I. გადაიდგას დამატებითი ნაბიჯები სასამართლოს საფინანსო-საბიუჯეტო დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. ორგანული კანონით დადგინდეს, რომ სასამართლოს ბიუჯეტი თავისი ოდენობით არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები; დადგინდეს სასამართლოს უფლება, პირდაპირ წარუდგინოს პარლამენტს თავისი ბიუჯეტი, როდესაც მთავრობა უარს ეტყვის მისი გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე;
- II. გადაიდგას ნაბიჯები ამ სფეროში დეცენტრალიზაციისაკენ და სასამართლოებს მიეცეთ არა მარტო თავიანთი ბიუჯეტების შედგენის, არამედ, გარკვეულ ფარგლებში, სახსრების ხარჯვის უფლებამოსილებაც.

8. სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა გარე ზეგავლენებისგან

- I. უნდა გაუმჯობესდეს სასამართლოს/მოსამართლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზეწოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის სისტემა.
- II. უნდა განხორციელდეს „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ინსტიტუტის ახლებურად გააზრება და რეფორმირება;
- III. უნდა გაძლიერდეს საზოგადოებასთან სასამართლოს ეფექტიანი კომუნიკაცია, განვითარდეს სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი - სასამართლომ უნდა დაიწყოს პროაქტიულად ინფორმაციის დროული მიწოდება მედიისთვის და საზოგადოებისათვის.
- IV. ხელი უნდა შეეწყოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის დაცვის, როგორც მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის, აღიარების ხარისხის ამაღლებას და სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას საზოგადოებაში;
- V. ხელი უნდა შეეწყოს საზოგადოების და, განსაკუთრებით, ზოგიერთი პროფესიის წარმომადგენლების (პოლიტიკოსები, ჟურნალისტები,

ადვოკატები) ცნობიერების ამაღლებას განხილვაში მყოფი საქმეების გაშუქების კულტურის ამაღლების, ასევე, მოსამართლის, სასამართლოსა და სასამართლო გადაწყვეტილების „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებთან დაკავშირებით; სასამართლომ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ამ პრინციპებთან ადვოკატებისა თუ ჟურნალისტების პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისობისათვის; დანერგოს და ამოქმედოს სისტემა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება საბჭოდან გაგზავნილი საჩივრების განხილვა პროფესიული ეთიკის შესაბამისი კომისიების მიერ და შესატყვისი რეაგირების განხორციელება;

9. სასამართლოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა

(ეს ნაწილი სრულიად ახლებურადაა წარმოდგენილი)

- I. სასამართლოს მიუკერძოებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არა მარტო სამართლებრივად, არამედ პრაქტიკაშიც; მოსამართლეები უნდა ზრუნავდნენ, რომ თვითნაირი ფუნქციები განხორციელონ მხარეებისადმი თანაბრი მოპყრობით ყოველგვარი მიკერძოების, ფავორიტიზმისა და დისკრიმინაციის გარეშე, რათა უზრუნველყონ მხარეების უფლება სამართლიან განხილვაზე და გონივრულად დააბალანსონ მათი ინტერესები. (CCJE); **(დიანას რჩევა);**
- II. კანონით უნდა განისაზღვროს გარემოებები, რომლის დროსაც საკუთრივ კანდიდატის წარსული საქმიანობა ან მისი ნათესავების საქმიანობა წარმოშობს მართებულ და საფუძვლიან ეჭვებს ამ კანდიდატის მიუკერძოებლობისადმი და წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას მოსამართლედ მისი გამწესებისათვის; (მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია, ნაწ. 3.2.)
- III. უნდა დაიხვეწოს სხვა საქმიანობასთან მოსამართლის თანამდებობისა და სტატუსის თავსებადობის რეგულირება: ორგანული კანონით შემოღებულ უნდა იქნეს პროცედურა, რომელსაც მოსამართლე გამოიყენებს სამოსამართლო მოვალეობებთან ამა თუ იმ საქმიანობის შეთავსებადობის შესამოწმებლად და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად;
- IV. მოსამართლეების მიერ წარდგენილი ყოველწლიური ქონებრივი დეკლარაციების საფუძველზე სასამართლო სისტემატიურად უნდა ახორციელებდეს საკუთარი წევრების „პათიოსნების შემოწმებას“ (integrity checks). ხელისუფლების შიგნით უნდა შეიქმნას ორგანო - სასამართლო ინსპექტორატი ან დამოუკიდებელი კომისია, რომელიც არა მარტო შეამოწმებს დეკლარირებული ფაქტების ნამდვილობას, არამედ ექნება უფლება, მოამზადოს დასკვნა დაუსაბუთებელი ქონების არსებობის შესახებ. (ვენეციის კომისიის 2016 წლის რეკომენდაცია **(დიანას რჩევით)**)
- V. უნდა დაინერგოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოყენებული პრაქტიკა სასამართლოს ობიექტური და სუბიექტური მიუკერძოებლობის ტესტებით შეფასების სფეროში; კანონით უნდა განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც მოსამართლის მონაწილეობა ამა თუ იმ საქმის განხილვაში მომავალში გამორიცხავს იმავე საქმეში მის მონაწილეობას

ამა თუ იმ ფორმით, მოსამართლის ობიექტური დამოუკიდებლობის შეფასების ტესტის შესაბამისად; (ეს წინადადება შეიძლება სამოქმედო გეგმაში გადავიდეს -ევა) საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლის საქმის ჩამოცილების საფუძვლებთან დაკავშირებით შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ამ პრინციპებთან და ეფექტიანად იქნეს დანერგილი პრაქტიკაში;

10. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დარღვევების პრევენცია და თავალსაჩინოების გაზრდა

- I. ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საჩინარობის უზრუნველყოფას სასამართლო პროცესის წარმართვის თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესთან მიმართებაში; უნდა გაძლიერდეს მოსამართლეთა სწავლება თუ როგორ შეინარჩუნონ მიუკერძოებელი და პოლიტიკურად ნეიტრალური მსაჯულის იმიჯი; უნდა ამაღლდეს მოსამართლეებში „თავშეკავებულობის ვალდებულების“ დაცვის ცნობიერება, მათ შორის, საქმეებზე კომენტარისა თუ მათ წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავებისა და მედიასთან მათი ურთიერთობის შეზღუდვის საკითხებში;
- II. უნდა განხორციელდეს გასულ წლებში სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელყოფის გამომწვევი მიზეზების, ხელშემწყობი ფაქტორებისა და ჩარევის მექანიზმების ანალიზი და შეფასება სამოქალაქო სექტორის ჩართულობით;
- III. უნდა შემუშავდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საჩინარობის შემოწმების სისტემა და მეთოდოლოგია; რეგულარულად უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოების, სასამართლოს მომხმარებლების (საქმის მხარეების) და საკუთრივ მოსამართლეთა მხრიდან საჩინარობის აღქმის ხარისხის შემოწმება;
- IV. უნდა დაინერგოს პრაქტიკა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყოველწლიურად აქვეყნებდეს ანგარიშებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ; (დიანას რეკომენდაცია)
- V. უნდა ამაღლდეს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხი, მათ შორის დასაბუთებულობის შემოწმების კრიტერიუმების დადგენით; უარი უნდა ეთქვას ტრაფარეტულ გადაწყვეტილებებს.
- VI. იუსტიციის უმაღლესი საბჭომ უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობის გამჭვირვალებობა, გაააქტიუროს გაფართოებული სხდომების ჩატარების პრაქტიკა, უზრუნველყოს მისი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და არადისკრიმინაციული მიდგომების დემონსტრირება ინდივიდუალურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას; ასევე, საბჭოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის დროული მიწოდება, ყოველწლიური ანგარიშებისა თუ სტატისტიკური მონაცემების შედგენისა და გამოქვეყნების პრაქტიკის

VII.II სტრატეგიული მიმართულება: ანგარიშვალდებულება

სტრატეგიული მიმართულების განმარტება

როგორც მთლიანად სასამართლო სისტემა, ისე ინდივიდუალურად თითოეული მოსამართლე ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, რათა საკუთარი უფლებამოსილება განახორციელონ, პროფესიონალურად და კეთილსინდისიერად. სასამართლო სისტემისა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი, თუმცა დამოუკიდებლობა გონივრულობის ფარგლებში უნდა შეზღუდული იყოს ანგარიშვალდებულებით. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულება გულისხმობს მოსამართლის და სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებას გადაწყვეტილებების კანონიერებაზე³, საქმის წარმოებაზე გონივრულ ვადაში, ქვევის სტანდარტებისა და სამოსამართლო ეთიკის ნორმების დაცვაზე და პროცესის და სისტემის ღიაობაზე, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ფასეულობის დაცვით. ანგარიშვალდებულების მექანიზმების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამასთან, სასამართლოსა და მოსამართლის ანგარიშვალდებულების მექანიზმების დახვეწა ხელს შეუწყობს სასამართლოსადმი ნდობის განმტკიცებას. იმისათვის, რომ სასამართლომ ამ მიმართულებით შეძლოს ანგარიშვალდებულების არსებული საფუძვლების გაძლიერება, უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

ძირითადი გამოწვევები

1. სამართლებრივი (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული) პასუხისმგებლობა არ არის სათანადოდ დაკონკრეტებული; დღევანდელი კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს მოსამართლეთა სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სათანადოდ არ არის დაკონკრეტებული, თუ რა მიიჩნევა მოსამართლის მხრიდან სამართლებრივ და დისციპლინურ დარღვევად. დაზუსტებას საჭიროებს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლები, იმისათვის რომ მკაფიოდ იყოს განსაზღვრული თითოეული მოსამართლისთვის, თუ რაზე აგებენ პასუხს.
2. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი არ არის სრულყოფილად გაწერილი და განჭვრეტადი

³ ანგარიშვალდებულების ეს განმარტება არ გულისხმობს მხოლოდ პასუხისმგებლობას (განსაკუთრებით კი მხოლოდ პასუხისმგებლობის სახეებს). ანგარიშვალდებულება განხილულია ფართო კონტექსტში, სადაც, როგორც ინდივიდუალური მოსამართლე ისე მთლიანად სასამართლო სისტემა ანგარიშვალდებულია საზოგადოება უზრუნველყოს სამართლიანი, დამოუკიდებელი, ხარისხიანი და სწრაფი მართლმსაჯულებით.

გარდა იმისა, რომ არ არის სათანადოდ დაკონკრეტებული სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე არ არის მკაფიოდ განჭვრეტადი დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესი და პასუხისმგებლობის საფუძველი. კანონით სათანადოდ არ არის განსაზღვრული თუ რა შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად და რა არა. ამასთან ერთად, გასაუმჯობესებელია გადაცდომებზე რეაგირების ფორმები: სახდელისა და სახდელის დაკისრების მიდგომები, იმისათვის, რომ მაქსიმალურად სამართლიანი და ეფექტური რეაგირება ხდებოდეს დისციპლინურ გადაცდომებზე.

3. მოსამართლეთა ქცევის სტანდარტები (ეთიკის წესები) არ არის სათანადოდ დაზუსტებული;

ეთიკის წესები, იმ სახით როგორც დღეს არსებობს, არ შეიცავს დაწვრილებით განმარტებებს ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროა, რომ ეთიკის წესებს დაემატოს ისეთი პუნქტები, რომლებიც პრაქტიკაში შესაძლოა ხშირად გვხვდებოდეს, თუმცა არ არის ასახული. ეთიკის წესები არასათანადოდ იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსამართლეებმა მიიღონ მაქსიმალურად სრული და მკაფიო ინფორმაცია ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით ყველა შესაძლო შემთხვევაში.

4. საქმეების განაწილების, მართვის პრინციპი არ არის სათანადოდ გამჭვირვალე, ასევე პრობლემურია დღევანდელი დოკუმენტბრუნვის სისტემა;

საქმეების განაწილების და მართვის დღევანდელი მოდელი ხარვეზიანია და ვერ ითვალისწინებს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა თანაბარ და გონივრულ დატვირთულობას. გარდა იმისა, რომ ის შეიცავს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელ საფრთხეებს, საქმეთა მართვის დღევანდელი სისტემა საფრთხეს უქმნის საქმიანობის ხარისხსაც. გარდა ხარისხისა, ეს მოქმედებს საქმიანობის ეფექტიანობაზეც და ხელს უშლის როგორც მოსამართლეთა ისე მთლიანად სისტემის პროდუქტიულობასაც.

5. კომუნიკაციის მიდგომები და სტანდარტები არასათანადოდაა დახვეწილი და მათი გამოყენება ნაკლებად ეფექტურად ხდება;

კომუნიკაციის ნაკლებ ეფექტურობა სასამართლო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ეს ახდენს მნიშვნელოვან გავლენას სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების აღქმაზე. გარდა იმისა, რომ გადასახედია კომუნიკაციის მიდგომები და სტანდარტები, როგორც სასამართლო სისტემის შიდა ერთეულების ერთმანეთთან, ისე სასამართლოსა და გარე მხარეებს შორის, ასევე, არ ხდება თუნდაც არსებული შექმნილი სტანდარტების ეფექტურად გამოყენება ყოველდღიურ მუშაობაში. განსაკუთრებით დასახვეწია კომუნიკაციის სტანდარტები და გასაუმჯობესებელია მათი გამოყენება მოსამართლის - სხვა მოსამართლეებთან, სასამართლო მოხელეების - მონაწილე მხარეებთან, მოსამართლის მედიასთან და მთლიანად საზოგადოებასთან.

6. მთლიანად სასამართლოსა და მედიას შორის ურთიერთობები არ არის სათანადოდ მოწესრიგებული;

აქტუალობიდან გამომდინარე შეიძლება ცალკე გამოწვევად დასახელდეს სასამართლოს ურთიერთობები მედიასთან. ეს საკითხი გარკვეულწილად უკავშირდება ზემოთ აღნიშნულ თემას. დღეს სასამართლოს წარმომადგენლობა მედიაში უფრო მეტად ცალმხრივია. თავად სასამართლო ნაკლებად აქტიურია განავითაროს ურთიერთობები მედიის წარმომადგენლებთან, როგორც სამართლებრივი ცოდნის ამალგების კუთხით, ისე ინფორმაციის გავრცელების ეფექტურობის თვალსაზრისით. სპიკერ მოსამართლეების ინსტიტუტის გაჩერებაც მიუთითებს იმაზე, რომ დღეს შეიძლება სასამართლო ვერ იყენებდეს ბენეფიტებს, რაც მედიასთან მოწესრიგებულმა ურთიერთობებმა შეიძლება მოიტანოს.

- 7. სასამართლოში სტატისტიკა იწარმოება განსხვავებული ფორმატებით და ანალიტიკური მიმართულება არ არის სათანადო დონეზე დახვეწილი;**
თითოეულ ინსტანციაში დღეს განსხვავებულია სტატისტიკის წარმოების პრინციპი, მიდგომა და პროგრამული უზრუნველყოფა, მარტივად ვერ ხდება სასამართლო ინსტანციებს შორის ინფორმაციის გაცვლა, რაც განპირობებულია იმით, რომ საინფორმაციო სისტემები არ არის ინტეგრირებული. არსებული ელექტრონული პროგრამები განსხვავებული ტიპის ინფორმაციის გენერირების საშუალებას იძლევა, რაც შემდგომში ართულებს სტატისტიკის წარმოებას, განზოგადებასა და ტენდენციებზე დაკვირვებას. ასევე, არასათანადოდ არის განვითარებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების, ანალიზისა და ადმინისტრირების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოყენების ფუნქცია. გასაძლიერებელია მიდგომა, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ხდებოდეს დაყრდნობა კარგად დამუშავებულ და გაანალიზებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე.
- 8. სასამართლოს ვებ-გვერდებზე ანგარიშების, ინფორმაციის და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება არ ხდება ერთიანი სტანდარტით;**
ანგარიშვალდებულების ამოცანა გულისხმობს საზოგადოების წინაშე ღიაობასაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული, თუმცა ხარვეზებია გადაწყვეტილებების გამოქვეყნებასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ასევე, სხვადასხვა სასამართლოს მხრიდან განსხვავებული ფორმატითა და სტანდარტით ხდება ანგარიშებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც სავარაუდოდ გაართულებს დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიღებასა და გაანალიზებას.
- 9. საზოგადოების ინფორმირების და ცნობიერების დონე დაბალია სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით;**
სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოებას, სხვა ხელისუფლებებთან შედარებით, ნაკლები ინფორმაცია აქვს, რაც შეიძლება ბადებდეს არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს. ამიტომ მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომ ერთი მხრივ, საზოგადოებაში მოხდეს სასამართლოს შესახებ არასწორი შეხედულებების გადაფასება, ხოლო მეორე მხრივ, ინფორმირებულები იყვნენ მათი შესაძლებლობის შესახებ, რომ

გამოიყენონ თავიანთი უფლება მიმართონ სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში.

ამოცანები

- 1. მოსამართლეთა პასუხისმგებლობების, ქცევის სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დახვეწის უზრუნველყოფა;**
ამოცანა გულისხმობს საფუძვლების, სტანდარტებისა და ნორმების გადანედვას და იმ ქმედებათა სიცხადესა და განჭვრეტადობაზე ორიენტირებას, რომლებზეც მოსამართლე აგებს პასუხს.
- 2. სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომებისა და მთლიანად სისტემაში კორუფციის პრევენცია;**
მნიშვნელოვანია განვითარდეს გადაცდომების პრევენციის მექანიზმები, იმისათვის, რომ სისტემა იყოს მეტად ორიენტირებული არა დასჯაზე, არამედ გადაცდომებისა და დარღვევების წინაპირობების იდენტიფიცირებაზე, ანალიზზე, მათ განეიტრალებაზე. გარდა დისციპლინური დარღვევებისა, სისტემა ანგარიშვალდებულია იზრუნოს კორუფციული შემთხვევების თავიდან აცილებაზე და ისეთი მექანიზმების დანერგვაზე, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს კორუფციული შეთანხმებებს როგორც სისტემის შიგნით, ისე გარე მხარეებთან.
- 3. მოსამართლეთა საქმიანობაში არსებული გადაცდომების გამოვლენის და რეაგირების მექანიზმების სამართლიანობის და ეფექტიანობის უზრუნველყოფა**
ამოცანა გულისხმობს არსებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის შემდგომ განვითარებას, გადაცდომების გამოვლენის გზების გადანედვას და დარღვევებზე რეაგირების მექანიზმების დახვეწას. აქაც მნიშვნელოვანია რომ გადაცდომებზე რეაგირების/პასუხისგებაში მიცემის ფორმები განვითარდეს ისე, რომ იყოს ერთი მხრივ ორიენტირებული მოსამართლის ინსტიტუტის პატივისცემასა და მოსამართლეთა განვითარებაზე, მეორე მხრივ კი საზოგადოების და განმცხადებლის ინფორმირებაზე და პროცესის საკმარის გამჭვირვალობაზე, იმისათვის რომ საზოგადოებას ჰქონდეს ნდობა პროცესისადმი.
- 4. საზოგადოების წინაშე ღიაობის უზრუნველყოფა და ანგარიშვალდებულების აღქმის გაძლიერება**
ამოცანა გულისხმობს საზოგადოების წინაშე ღიაობის უზრუნველყოფას საზოგადოებისთვის პერიოდულად და პროაქტიულად ინფორმაციის მიწოდებით და ეფექტური კომუნიკაციით დაკავშირებულ მხარეებთან, რისთვისაც სასამართლომ უნდა განავითაროს ანგარიშვალდებულების სახეები, ფორმები და გავრცელების მექანიზმები.

მთავარი ზომები, ამოცანებისა და გამოწვევების საპასუხოდ

- 1. პასუხისმგებლობების სახეების და საფუძვლების გადახედვა და დახვეწა**
მოსამართლეთა პასუხისმგებლობა, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს როგორც დისციპლინარული ხასიათის, ისე სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული. აუცილებელია, მოხდეს პასუხისმგებლობების სახეებისა და საფუძვლების მკაფიო გამიჯვნა, მეტი სიცხადის შეტანა, ამისთვის საჭიროა გადაიხედოს და დაიხვეწოს არსებული ზღვრები და განმარტებები, ისე რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ მოექცეს არასათანადო ზეწოლის ქვეშ. მნიშვნელოვანია უფლებამოსილების გადამეტების და სამსახურეობრივი გულგრილობის დისპოზიციების გადახედვა. უნდა დაიხვეწოს სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ეხება მოსამართლეთა პასუხისმგებლობას სამსახურეობრივი უფლების განხორციელებისას, რათა მკაფიოდ განისაზღვროს რა შემთხვევებში ცდება მოსამართლის ქმედება დისციპლინურ საზღვრებს. უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი დისციპლინური საფუძვლები, რომელიც ერთი მხრივ გამოიცილებს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, გადაწყვეტილების შინაარსისა თუ სამართლებრივი შეცდომისთვის მოსამართლის პასუხისმგებლობას, თუმცა მეორე მხრივ იქნება დაბალანსებული და სამართლიანი, რომ არ დარჩეს რეაგირების გარეშე მძიმე გადაცდომის ფაქტები. ასევე, მნიშვნელოვანია, სამოქალაქო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრა და დაზუსტებაც.
- 2. სამოსამართლო ეთიკის წესების დაზუსტება;**
მართლმსაჯულების განმანორციელებლებს უნდა ჰქონდეთ პროფესიული ეთიკის მკაფიოდ განსაზღვრული წესები; წესების გამოყენება კი უნდა ხდებოდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სამართლიანი და ეფექტური სასამართლოს უფლების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ეთიკის წესების განახლება, მკაფიო გახდეს რა ვალდებულებები ეკისრებათ მოსამართლეებს, როგორია ქცევის სტანდარტები, ამასთან ერთად, საზოგადოებისთვისაც უფრო მკაფიო გახდეს რაზე შეიძლება მოეთხოვოს მოსამართლეს პასუხი. ეთიკის წესების ეფექტურობისთვის, მნიშვნელოვანია მოხდეს ეთიკის წესების სახელმძღვანელო პრინციპების დამუშავება, რომელიც დეტალურად შეიძლება აძლევდეს მოსამართლეებს განმარტებებს, კონკრეტულ პუნქტებთან მიმართებაში, საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცდილებაზე დაყრდნობით.
მიზანშეწონილია, რომ მოხდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის და ეთიკის წესების ურთიერთმიმართების რეგულირება.
- 3. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწა;**
იმისთვის რომ, პროცესი იყოს ობიექტური, დარღვევებზე იყოს ობიექტური რეაგირება, მოსამართლეს არ ჰქონდეს გაცდა უსაფუძვლო სასჯელის მიღების და ამასთან, არ იყოს ეს პროცესი ღირსების შემლახავი, აუცილებელია

გადაიხედოს და დაიხვეწოს დისციპლინური საქმისწარმოების პროცესი. მნიშვნელოვანია, რომ გაიწეროს კანონში პროცესის მიზნები, განსაკუთრებით ის, რომ „სამართლებრივი შეცდომები“ (legal errors) არ უნდა გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში უნდა მოხდეს უფლებების უზრუნველყოფა. უნდა გამოვლინდეს პროცესის შედარებით სუსტი კომპონენტები, მოხდეს მათი გადახედვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ცვლილებების განხორციელება. მნიშვნელოვანია რომ ასევე უზრუნველყოფილ იქნას ამ პროცესის გამჭვირვალობა, განსაკუთრებით საბჭოში საქმის განხილვის ეტაპზე.

4. დისციპლინური გადაცდომების პრევენცია;

დისციპლინური გადაცდომების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია პირველ რიგში მოსამართლეებმა მკაფიოდ იცოდნენ პასუხისმგებლობის საფუძვლები, ქვეყნის სტანდარტები და ეთიკის წესები, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი. ამისთვის უნდა გაძლიერდეს ქვეყნის სტანდარტების სწავლების კომპონენტი და მოსამართლეთა ინფორმირებულობისთვის უნდა მოხდეს ტრენინგების ჩატარება გავრცელებულ დისციპლინურ დარღვევებსა და გადაცდომებზე და საბჭოს გადაწყვეტილებებზე. მოსამართლეთა და საქმეთა კონფიდენციალობის დაცვით უნდა ხდებოდეს მოსამართლეების სათანადო მხარდაჭერა-კონსულტაცია ეთიკის ნორმების დაცვასთან დაკავშირებით.

5. სისტემაში კორუფციის შემთხვევების მინიმიზაცია და პრევენცია;

საჭიროა სისტემაში შეიქმნას სისტემური მექანიზმები, რომლებიც კორუფციის შემთხვევების მინიმიზაციას მოახდენს და ადამიანებს არ მისცემს მოტივს შევიდნენ კორუფციულ გარიგებებში. სისტემაში უნდა დაიწყოს ქონებრივი დეკლარაციების ასახვა და მონიტორინგი. უნდა ამოქმედდეს მესამე ტალღით გათვალისწინებული ინსპექტორის ინსტიტუტი. ასევე, ამის პარალელურად მნიშვნელოვანია რომ სისტემაში მომუშავე ადამიანებს პერიოდულად მიეწოდოთ ინფორმაცია, ჩაუტარდეთ ტრენინგები კორუფციასთან დაკავშირებით.

6. მოსამართლის იმუნიტეტის მოხსნის საკითხის გადახედვა ;

მოსამართლის იმუნიტეტი დაცულია საკანონმდებლო დონეზე და მისი მოხსნა შეუძლია მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მოსამართლის იმუნიტეტის საერთაშორისო გზამკვლევის იმპლემენტაცია და მოსამართლეებისთვის იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ექსკლუზიური უფლებამოსილების გაუქმება და საბჭოსთვის ან/და

1. ⁴ CCJE 3 დასკვნა 55 პარაგრაფის შესაბამისად

პლენუმისთვის გადაცემა, ამიტომ მნიშვნელოვანია მოსამართლის იმუნიტეტის მოხსნის საკითხის გადახედვა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის და ხელშეუხებლობის გათვალისწინებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

7. სტატისტიკის, ანალიტიკისა და ანგარიშგების ფორმებისა და გავრცელების მექანიზმების განვითარება;

სასამართლო კორპუსის ანგარიშვალდებულების განსახორციელებლად საზოგადოების მიმართ, აუცილებელია შეიქმნას და გაძლიერდეს ანგარიშვალდებულების სახეები და ფორმები. უნდა განისაზღვროს, გადაიხედოს და დაინერგოს სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოებისთვის საჭირო ფორმების ტიპები, სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციისთვის და სტრუქტურისთვის, მათი პერიოდულობა და გამოქვეყნების ფორმები, როგორც შიდა ისე გარე მოხმარებისთვის. ასევე, უნდა განისაზღვროს და დაინერგოს ანალიტიკური ანგარიშების ტიპები მათი პერიოდულობა და ფორმები, როგორც სასამართლოების, ისე საბჭოს და სკოლის მიერ. ამ კონტექსტში დასახვეწი და გადასახედია საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა.

8. საზოგადოების დამოკიდებულების პერიოდული ანალიზი და რეაგირება;

სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის, თუ როგორ აღიქმება სასამართლოს ანგარიშვალდებულება საზოგადოებაში. ამ მხრივ სასამართლო აქტიურად უნდა ადევნებდეს თვალს იმ კვლევებს, რომელიც საზოგადოების ნდობას აფასებს მართლმსაჯულებისა და სასამართლოს სისტემის მიმართ, ასევე, თავადაც მოახდინოს მსგავსი და უფრო კონცენტრირებული კვლევების ორგანიზება, რომელიც გამოავლენს სასამართლოს ანგარიშვალდებულების ნაკლოვანებებს და მათ წინაპირობებს საზოგადოებაში, ხელისუფლების სხვა შტოებში და მხარეებს შორის. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას რეაგირების პოლიტიკა/სტრატეგიები და მოხდეს მათი ეფექტური განხორციელება.

9. საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხედვის დამუშავება და ეფექტური მექანიზმების შექმნა და ამოქმედება;

სასამართლო სისტემა ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე იყოს ღია და მიაწოდოს მათთვის საჭირო ინფორმაცია დროულად და სრულად. კომუნიკაციის დღევანდელი მიდგომები მნიშვნელოვნად საჭიროებს გაუმჯობესებას. ამისთვის უნდა შემუშავდეს კომუნიკაციის სტრატეგია მოსამართლეების, სასამართლო მოხელეებისა და სისტემაში მომუშავე თანამშრომლებისთვის მოსამართლეებთან, მხარეებთან, მედიასთან, ხელისუფლების სხვა შტოებთან და საზოგადოებასთან. უნდა გადაიხედოს არსებული კომუნიკაციის სტანდარტი და მოხდეს ამოქმედება. მედიასთან ურთიერთობების ნაწილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ გადამზადდეს და შეირჩეს სპიკერ მოსამართლეები და მათი საშუალებით დაიწყო სასამართლოებმა მუშაობა მედიასთან პროაქტიულად. გარდა ამისა,

სასამართლო უნდა ზრუნავდეს გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა არხებით სასამართლოსა და საბჭოს საქმიანობაზე (დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის შესახებ), რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, გაზრდის მისადმი ნდობას და შეამცირებს არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.

10. მოსამართლეთა საქმიანობის პერიოდული შეფასების სისტემის სრულყოფა

- მოსამართლის საქმიანობის პერიოდული შეფასების წესის, შეფასების კრიტერიუმების და შეფასების ფორმის დახვეწა.

11. საქმეების განაწილების შემთხვევითი სისტემის შექმნა, რომელიც დაცული იქნება ნებისმიერ ტიპის მანიპულაციებისაგან.

VIII. III სტრატეგიული მიმართულება: მართლმსაჯულების ხარისხი და პროფესიონალიზმი

ხარისხის კონცეფცია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სასამართლო სექტორში. მართლმსაჯულების ხარისხი ხშირად გაგებულია, როგორც სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხი. თუმცა ფართო გაგებით, ის შეიძლება მოიცავდეს სასამართლო მომსახურების მიწოდების და სხვა ყველა იმ ასპექტს, რომელიც რელევანტურია მართლმსაჯულების სისტემის კარგად ფუნქციონირებისთვის. თუმცა ხარისხს მნიშვნელოვნად განაპირობებს სისტემაში მომუშავე ადამიანების კომპეტენცია და პროფესიონალიზმი, რომელიც თავის მხრივ მიიღწევა ისეთი მექანიზმების შექმნითა და ამოქმედებით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი პოტენციალის ანდა კვალიფიკაციის მქონე პირების მოზიდვას, სწორ შერჩევას, მათ მაღალ მოტივაციასა და კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის უწყვეტ ამაღლებას. ამასთან ხარისხი გულისხმობს იმასაც, რომ მუდმივად ვითარდებოდეს ხარისხის გაზომვისა და შეფასების ინსტრუმენტები და სტანდარტები, იმისათვის სასამართლოს შეეძლოს გამოავლინოს ის ასპექტები, რომელიც დახვეწას და განვითარებას საჭიროებს. მართლმსაჯულების ხარისხის უზრუნველსაყოფად, სასამართლოს გარდა მნიშვნელოვანი როლი აქვს აღმარსულებელ და საკანონმდებლო ორგანოებსაც. თუმცა სასამართლოს შეუძლია ღირებული მონაწილეობა მიიღოს წინადადებების მომზადებასა და საკანონმდებლო განვითარების პროცესში.

ძირითადი გამოწვევები

1. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა კვალიფიკაციის დონე;

გარკვეულწილად მომართვიანობის მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს იმას, რომ მოსამართლეთს ნაკლები დრო აქვთ სისტემურად იზრუნონ პროფესიულ ზრდასა და უწყვეტ განვითარებაზე. არსებობს ხარვეზები და განვითარების შესაძლებლობები საქმეების ეფექტური მართვის, პრაქტიკის გამოყენების ნაკლებობის ანდა არაკონტექსტუალური გამოყენების კუთხითაც. ცალკე საკითხია სასამართლო მოხელეების კვალიფიკაციის დონე, რაც გამოიხატება მოსამართლეთა არასათანადო მხარდაჭერაში სამართალწარმოების პროცესში.

კვალიფიკაციაზე მნიშვნელოვან გავლენას გადამზადებისა და უწყვეტი განვითარების სისტემაც ახდენს, რომელიც ასევე საჭიროებს დახვეწას.

2. გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის არასათანადო ხარისხი;⁵

მოსამართლეებს არ აქვთ საკმარისი რესურსი/დრო დაუთმონ გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებას. გვხვდება გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით ქვედა ინსტანციებში, რომლებიც არ არის საკმარისად არგუმენტირებული და ნაკლებად ითვალისწინებენ უზენაესი, საკონსტიტუციო თუ საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკებს. ასევე, დაწერილია მხარეთათვის რთულად გასაგებ ენაზე.

3. სამართალწარმოებისა და სასამართლოს საქმიანობის სტანდარტების არასათანადო ხარისხი;⁶

დღევანდელი სამართალწარმოების პროცესი საჭიროებს დახვეწას, როგორც შიდა პროცედურულ და ნორმატიულ, მათ შორის შეიძლება საკანონმდებლო დონეზეც. გარდა ამისა, სასამართლოს საქმიანობის ის სტანდარტები, რაც უშუალოდ მოსამართლო საქმიანობას არ უკავშირდება, თუმცა სისტემის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს, არ არის სათანადოდ ერთგვაროვანი და უნიფიცირებული ინსტანციების დონეზე.

4. კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები

დღევანდელი კანონმდებლობა, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო ისე ადმინისტრაციული მიმართულებით შეიცავს ისეთ ხარვეზებს, რომლებიც მოსამართლეებს ყოველდღიურ საქმიანობაში შეიძლება ხელს უშლიდეს მაღალი ხარისხით შეასრულონ მართლმსაჯულების მიზნები. განსაკუთრებით, ეს ეხება სისხლის სამართლის კოდექსში მოსამართლის შეზღუდულ როლს. ამას გარდა, პრაქტიკაში გაჩენილი პრეცედენტები და ცოდნა, რომელიც დაგროვილია თითოეულ მოსამართლეში, არ არის სათანადოდ გამოყენებული კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისთვის.

5.

მთავარი ამოცანები

1. საუკეთესო პოტენციალის მქონე მოსამართლეების, სასამართლო მოხელეებისა და სისტემის თანამშრომლების მოზიდვა და სწორი შერჩევა;

ამოცანა გულისხმობს პროაქტიულ მუშაობას საუკეთესო კადრების მოზიდვისა და მათი სწორი შერჩევა-მომზადებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ

⁵ CCJE -დასკვნა #11 - სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შესახებ - [https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE\(2008\)OP11&Language=lanGeorgian&Ver=original&BackColorInternet=DBDCF2&BackColorIntranet=FDC864&BackColorLogged=FDC864&direct=true](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE(2008)OP11&Language=lanGeorgian&Ver=original&BackColorInternet=DBDCF2&BackColorIntranet=FDC864&BackColorLogged=FDC864&direct=true)

⁶ CCJE დასკვნა №17 - მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, მართლმსაჯულების ხარისხისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პატივისცემის შესახებ UNODC Resource Guide on Strengthening Judicial Integrity and Capacity https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/ResourceGuideonStrengtheningJudicialIntegrityandCapacity/11-85709_ebook.pdf

ხარისხიანი შერჩევა სწორედ საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დაინტერესებაზე გადის.

- 2. მოსამართლეთა, სასამართლო მოხელეთა და სისტემის თანამშრომელთა ხარისხიანი საწყისი მომზადება და უწყვეტი განვითარება;**
ამოცანა გულისხმობს საწყისი მომზადების და განგრძობადი გადამზადების სისტემების იმგვარად განვითარებას, რომ ეს მოსამართლეთა და თანამშრომელთა პროფესიონალიზმის უწყვეტ განვითარებას უწყობდეს ხელს; შეფასების სისტემის შემოღებითა და უვადო განმწესების გადაწყვეტილების მიღებით, განგრძობადი განათლება უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რისი გათვალსიწინებითაც საჭირო გახდება სწავლებისთვის სავალდებულო ხასიათის მიცემა.
- 3. მოსამართლეთა, სასამართლო მოხელეთა და სისტემის თანამშრომელთა შეფასებისა და მოტივაციის უზრუნველყოფა**
ამოცანა გულისხმობს შეფასების ეფექტური მექანიზმების ამოქმედებას, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსამართლეთა, სასამართლო მოხელეთა და სისტემის თანამშრომელთა განვითარების საჭიროებების გამოვლენაზე, მათთვის ღირებული უკუკავშირის მიცემაზე და მათ წახალისება მოტივაციაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა შემთხვევაში მოტივაციაში არ იგულისხმება ბონუსების ან დანამატების სისტემის შემოღება, არამედ სწორი სტიმულების შექმნა, იზრუნონ საკუთარ განვითარებაზე და საქმიანობის ხარისხის ამაღლებაზე.
- 4. ხარისხის გაზომვის ინდიკატორებისა და სტანდარტების განვითარება;**
ამოცანა გულისხმობს ხარისხის გაზომვის პარამეტრებისა და ინდიკატორების შემდგომ განვითარებას და დანერგვას, განსაკუთრებით კი შემდეგი კომპონენტების გაზომვის დახვეწას როგორცაა: პროცესებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი, სასამართლო მომსახურების მიწოდება და მომხმარებელთა კმაყოფილება. ამის თანმდევად, მნიშვნელოვანია ვითარდებოდეს და ინერგებოდეს საქმიანობის ხარისხის სტანდარტები;
- 5. კანონმდებლობის განვითარებაში მხარდაჭერა;**
ამოცანა გულისხმობს სასამართლოს პროაქტიულ მონაწილეობას კანონმდებლობის განვითარების პროცესში ერთი მხრივ იმისთვის, რომ მოსამართლეებს და მთლიანად სასამართლო სისტემას ჰქონდეს ხარისხიანი სამართალწარმოებისთვის შესაბამისი კანონმდებლობა და მეორე მხრივ, წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს საკანონმდებლო განვითარების პროცესებში. მომდევნო წლებში სისხლის სამართლის კოდექსში მოსამართლის როლის გაძლიერებისთვის წინადადებების მომზადება, მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება სასამართლოს მხრიდან კანონმდებლობის განვითარებაში.

მთავარი ზომები გამოწვევებისა და ამოცანების საპასუხოდ

- 1. მოსამართლის და სასამართლო მოხელეების პროფესიის პოპულარიზაცია**

სტუდენტებსა და გამოცდილ სამართალმცოდნეებში;

მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა კორპუსის ხარისხს მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს არამართო სწორი შერჩევა და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება, არამედ მაღალი პოტენციალის მქონე სტუდენტებისა და გამოცდილი სამართლისმცოდნეების დაინტერესება და წინაპირობების შექმნა, რომ გაუჩნდეთ მოტივაცია იმუშაონ ამ სისტემაში. ამის მისაღწევად, ერთი მხრივ, უნდა გამოვლინდეს სასამართლო სისტემაში შესასვლელად ხელის შემშლელი ობიექტური მიზეზები და მოიძებნოს მათი გადაჭრის გზები, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, სასამართლო პროაქტიულად ავრცელებდეს ინფორმაციას მოსამართლისა და სასამართლო მოხელის პროფესიის მნიშვნელობაზე უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა აკადემიურ წრეებში, სამართლისმცოდნეების ასოციაციებში, ლექციების, სემინარების და სოციალური ქსელის საშუალებით. მოსამართლის და სასამართლო მოხელის პროფესია უნდა გახდეს მაქსიმალურად სასურველი და გაიზარდოს დაინტერესებული პირების რაოდენობა. ეს გახდება წინაპირობა იმისა, რომ სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის ეტაპზე უფრო მეტ მაღალ პოტენციალის მქონე კანდიდატს შორის შეეძლება არჩევანის გაკეთება.

2. მოსამართლეთა შერჩევის და მომზადების მიდგომებისა და ფორმების გადახედვა;

მოსამართლეთა კორპუსის სწორად განვითარებისთვის და სისტემაში კვალიფიციური და ღირსეული მოსამართლეების შემოსვლისთვის, უმნიშვნელოვანესია მოსამართლეთა შერჩევის ეტაპის მაქსიმალური სრულყოფა და მოსამართლეთა მომზადების ეტაპის დახვეწა. შერჩევის პროცესში თავის მხრივ, მნიშვნელოვანია მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის არსებული პროცესისა და საგამოცდო საკითხების ასევე, მოსამართლეთა პროფესიული ზრდის შესაძლებლობების ანალიზი. კანდიდატთა სწავლების ხანგრძლივობა, ჩარიცხვის პროცესი, სწავლების დისტანციური მეთოდები, ტრენერთა შერჩევის კრიტერიუმები, მსმენელთა სტიპენდიის გაზრდა, აკადემიური წრეების ჩართულობა პროგრამების განვითარებისთვის, სალამოს სწავლების მოდულის დანერგვის მიზანშეწონილობის განსაზღვრა - ეს ის საკითხებია, რომელთა გადახედვა და სრულყოფა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მოსამართლეთა შერჩევისა და მომზადების ხარისხზე.

3. მოსამართლეთა, სასამართლოს მოხელეთა და აპარატის თანამშრომელთა გადამზადება;

მოსამართლეთა, სასამართლო მოხელეთა და სისტემაში მომუშავე სხვა თანამშრომელეთა საქმიანობის ხარისხის ერთ-ერთ განმაპირობებელი ფაქტორი მათი გადამზადების უწყვეტობა, მათი ცოდნისა და უნარების მუდმივი განვითარებაა. აუცილებელია მოხდეს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა გადამზადებისადმი ინტერესისა და მოტივაციის

გაზრდა. მნიშვნელოვანია დამუშავდეს განგრძობადი იურიდიული განათლების დამატებითი ტრენინგ-მოდულები და თანამშრომელთა გადამზადების ალტერნატიული პროგრამები. უნდა შემოშავდეს და დაინერგოს მოსამართლეთა სავალდებულო გადამზადების სისტემა, რაც გულისხმობს წლის განმავლობაში სავალდებულო სწავლების საათების შემოღებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ეფექტურად იქნას გამოყენებული კონკრეტული კურსის საჭიროების გამოთვლისა და კურსის შეფასების მექანიზმები. სწავლების ხარისხსა და ეფექტს, ასევე განაპირობებს, სწავლების პროცესში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია. ამ კუთხით, სასურველია მოხდეს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება სწავლების მეთოდებში. აქტიურად უნდა გაძლიერდეს და დაინერგოს სწავლების თანამედროვე/ინოვაციური და ინტერაქტიული მიდგომები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექნიკური-ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება და ენების ცოდნის დონის გაუმჯობესება, რაც არამხოლოდ დაზოგავს დროსა და სხვა რესურსებს, არამედ გაზრდის თანამშრომელთა შრომის ნაყოფიერებას და ხარისხს.

4. მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემის სრულყოფა;

გასავითარებელია მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემა, რომელიც ერთი მხრივ, მოსამართლეთა საქმიანობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებით უნდა იყო დაკავებული, ხოლო მეორე მხრივ, მიბმული უნდა იყოს მოსამართლეთა დაწინაურებაზე (წოდებრივ წახალისებაზე). შეფასების შედეგები ნათლად უნდა აისახებოდეს მათ კარიერულ წინსვლაზე, რაც უფრო გაზრდის შეფასების პროცესის მნიშვნელობას და ეფექტურობასაც. გარდა დაწინაურებისა, ობიექტურ და პერიოდულ შეფასებას დადებითი გავლენა შეუძლია მოახდინოს საქმიანობის ხარისხის ამაღლებაზე და მოსამართლეთა მოტივაციაზე, უფრო აქტიურად იზრუნონ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე. შეფასების პერიოდულობა, შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ფორმები უნდა იყოს მაქსიმალურად დახვეწილი, ოპტიმალური და ამომწურავი, იმისათვის რომ თითოეულმა მოსამართლემ იცოდეს რის მიხედვით ფასდებიან და რა უნდა გააკეთონ იმისთვის რომ გაიმჯობესონ შეფასების შედეგები.

5. ხარისხის გაზომვის ინდიკატორების განვითარება

ხარისხის გაზომვის კონცეფცია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სასამართლო სექტორში. მართლმსაჯულების ხარისხი ხშირად გაგებულია, როგორც სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხი. თუმცა ფართო გაგებით, ის შეიძლება მოიცავდეს სასამართლო მომსახურების მიწოდების და სხვა ყველა იმ ასპექტს, რომელიც რელევანტურია მართლმსაჯულების სისტემის კარგად ფუნქციონირებისთვის. შესაბამისად, ხარისხის საზომი მოდელი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილებების არსებით მხარეში შესვლას, არამედ მოიცავს იმ საკითხებს, რომელიც უკავშირდება სასამართლო ორგანიზებასა და ფუნქციონირებას: ორგანიზაციის ძირითადი სტრუქტურის და სასამართლო წესრიგის თვითშემოწმებიდან დაწყებული მომსახურების გაწევამდე

დამთავრებული, როგორც შიდა (თანამშრომლები), ასევე გარე (მომხმარებლები) მომხმარებელთა აზრიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია რომ სასამართლოს გააჩნდეს წინასწარ განსაზღვრული ხარისხის ჰარამეტრიები-ინდიკატორები და ხარისხის სტანდარტები. მათი განსაზღვრა და განვითარება კი უნდა მოხდეს საჭიროებებისა და ამოცანების საფუძველზე. CEPEJ-ს მიერ მიღებული დოკუმენტის „მართლმსაჯულების ხარისხის გაზომვა“ მიხედვით, უნდა მოხდეს შემდეგი კომპონენტების გაზომვა: (1) პროცესებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი, (2) სასამართლო მომსახურების მიწოდება, (3) მომხმარებელთა კმაყოფილება

6. საქმიანობის ხარისხის სტანდარტების შემუშავება და არსებულების განახლება;

სასამართლო სისტემაში მაღალი ეფექტიანობის და სათანადო ხარისხის მისაღწევად მნიშვნელოვანია მუდმივად ახლდებოდეს საქმიანობის ხარისხის სტანდარტები. არსებულ სტანდარტებში განვითარების შესაძლებლობების ძიება, გაუმჯობესება და მეტი სივრცის შეტანა და ასევე, ახალი სტანდარტების დამატება და დანერგვა მნიშვნელოვნად დაეხმარება სასამართლოს პროდუქტიულობის გაზრდაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების და სხვა საპროცესო დოკუმენტების ხარისხის სტანდარტების განახლება. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მეთოდოლოგიის, კრიტერიუმებისა და სტანდარტების შემუშავება; (CCJE -დასკვნა #11 - სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შესახებ⁷;), ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე, სასჯელის დანიშნისას მხედველობაში მისაღებ გარემოებებზე გაიდლაინის შემუშავება. თუმცა, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოხდეს განახლება და დამუშავება ისეთი სტანდარტებისა, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს, როგორც თანამშრომელთა ისე მთლიანად სისტემის ეფექტიანობა. მაგ.

- სამოსამართლო უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების თაობაზე (განსაკუთრებით დატვირთული მოსამართლეებისათვის) სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება (National Judicial College – Effective Judging for Busy Judges⁸);
- მოსამართლეთათვის დროისა სტრესის მართვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება (A stress management Guide for Judges – District Court of Massachusetts⁹);
- ერთიანი საქმისწარმოების (ბრძანებების, სხვა დოკუმენტების უნიფიცირება, საქმისწარმოების ვადები, პროგრამა) სტანდარტი;

7. პრაქტიკის დანერგვისა და ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად

⁷[https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE\(2008\)OP11&Language=lanGeorgian&Ver=original&BackColorIntranet=DBDCF2&BackColorIntranet=FDC864&BackColorLogged=FDC864&direct=true](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE(2008)OP11&Language=lanGeorgian&Ver=original&BackColorIntranet=DBDCF2&BackColorIntranet=FDC864&BackColorLogged=FDC864&direct=true)

⁸ <http://www.judges.org/wp-content/uploads/Effective-Judging-for-Busy-Judges.pdf>

⁹ https://books.google.ge/books/about/Judicial_Wellness.html?id=F8_dngEACAAJ&redir_esc=y

(საერთაშორისო, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების პრაქტიკის) არსებული მექანიზმის დახვეწა;

პრაქტიკის განვითარება, მისი დანერგვა და ერთგვაროვნება ერთ-ერთი წინაპირობაა ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის. გარდა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განზოგადებისა, უნდა გააქტიურდეს როგორც საკონსტიტუციო ისე საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, დამუშავება და რაც შეიძლება ეფექტური ფორმით მიწოდება მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისთვის. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გასაძლიერებელია პრაქტიკის დანერგვის სამუშაოები, მოსამართლეთათვის პერიოდული სემინარების, ლექციებისა და შეხვედრების სახით. ასევე, გასამარტივებელია პრაქტიკის მოძიების მიდგომები, იმისათვის, რომ როგორც მოსამართლემ ისე მისმა სამდივნომ, რაც შეიძლება მოკლე ვადაში შეძლოს მათთვის საჭირო პრაქტიკის მოძიება და მარტივად გარკვევა. აღსანიშნავია, რომ უნდა გაგრძელდეს, იმ განმარტებებისა და სახელმძღვანელოების ფორმირების პრაქტიკა, რომელსაც ამჟამად უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება ახორციელებს.

8. სასამართლო მთავარი მომზადებული საკანონმდებლო წინადადებების მომზადებისა და წარდგენის მექანიზმის დახვეწა;

დღეს სასამართლო ფლობს ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ ინფორმაციას კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებსა და განვითარების შესაძლებლობაზე. პრაქტიკიდან გამომდინარე მოსამართლეებმა პროფესიულად იციან ნებისმიერი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სუსტი და ძლიერი მხარეები. შესაბამისად, კანონმდებლობის განვითარების პროცესში სასამართლო სისტემის ჩართულობის როლი და მნიშვნელობა უდიდესია, ამისათვის, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო დროულად სწორ ფორმატებში იყოს წარმოდგენილი და მოსამართლეებსა თუ სხვა მოხელეებს ჰქონდეთ სათანადო შესაძლებლობა ეფექტური მონაწილეობა მიიღონ კანონმდებლობის განვითარების პროცესში. აუცილებელია არსებობდეს საკანონმდებლო წინადადებების დამუშავების, განხილვის და წარდგენის დახვეწილი მექანიზმი. ამ მექანიზმის მეშვეობით სასამართლო სისტემა არამარტო სხვა უწყებების მიერ მომზადებულ კანონპროექტებზე მოსაზრებების მომზადებით უნდა შემოიფარგლებოდეს, არამედ თავადაც ახდენდეს საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების იდენტიფიცირებას და კომუნიკაციას შესაბამის უწყებებთან მართალია სასამართლო სისტემას არ აქვს კანონპროექტის ინიცირების უფლება, თუმცა ამ გზით კანონმდებლობის განვითარების პროცესში მისი მონაწილეობა მეტად ეფექტური გახდება.

9. მოსამართლეთა როლის გაძლიერება სისხლის სამართლის კოდექსში;

IX. IV სტრატეგიული მიმართულება: სასამართლო სისტემის ეფექტიანობა

სასამართლო სისტემის ხარისხიანობასთან ერთად და სისტემის ეფექტიანობა მართლმსაჯულების უმთავრესი კომპონენტია, რომლებიც ასახვას სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში ჰპოვებს. მათგან, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაა გამოსაყოფი, რომლის მე-6 მუხლის პირველ ნაწილში საუბარი სწორედ ეფექტიან მართლმსაჯულებას შეეხება: „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“. გარდა ამისა, ეფექტიან მართლმსაჯულებაზე საუბარია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშიც, რომლის მე-8 მუხლის მიხედვით: „ყველას, ვისაც დაერღვა კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისაგან“. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეფექტიანობა თავისთავად არ არის მიზანი, იგი უფრო საშუალებაა ხარისხიანი სასამართლო სისტემის შესაქმნელად და სამართლის უზენაესობის განსამტკიცებლად.

ძირითადი გამოწვევები

1. სასამართლოში პირთა მომართვიანობის ზრდა

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სისტემატურად იზრდებოდა სასამართლოში პირთა მომართვიანობა, განსაკუთრებით სამოქალაქო საქმეების მიმართულებით. კერძოდ: 2016 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემოსული საქმეების რაოდენობა 2005 წელთან შედარებით სამჯერ, ხოლო 2010 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. რაც სასამართლოს მხრიდან რეაგირებასა და სისტემაში ცვლილებებს საჭიროებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მოსამართლეთა (2016 წლის მონაცემებით საერთო სასამართლოებში 280 მოსამართლეა, თუმცა უზენაესი სასამართლოს გარდა, გაზრდილია შტატების რაოდენობა, რომელიც 319-ს უტოლდება) და სასამართლო მოხელეთა რაოდენობა, რომელიც ფიზიკურად საკმარისი ვერ იქნება ხარისხიანი და სწრაფი მართლმსაჯულების მისაღწევად. ეს ტენდენცია იწვევს შემდეგ პრობლემებს: ნაშთად დარჩენილ საქმეთა მატება; საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დარღვევა; გადაწყვეტილების მომზადების ვადების დარღვევა; გადაწყვეტილებათა უზარისხობა და ა.შ.

2. საქმეთა განაწილებისა და მართვის ნაკლებად ეფექტური მოდელი;¹⁰

¹⁰ UNODC Resource Guide on Strengthening Judicial Integrity and Capacity
<https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/ResourceGuideonStrengtheningJudicialIntegrityandCapacity/11-85709_ebook.pdf>

საერთო სასამართლოებში საქმეები ნაწილდება „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მოსამართლეთა შორის საქმეები რიგითობის წესის მიხედვით ნაწილდება. მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილების მიზნით სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა რიგითობას განსაზღვრავს მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში - მომდევნო ასოს მიხედვით. საქმეების განაწილებისა და მართვის აღნიშნული მოდელი ხარვეზიანია და ვერ ითვალისწინებს მოსამართლეთა და სასამართლო მონელეთა თანაბარ და გონივრულ დატვირთულობას. გარდა იმისა, რომ ის შეიცავს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელ საფრთხეებს, იმ კუთხით, რომ შესაძლებელია განაწილების წესში სასამართლოს თავმჯდომარის ჩარევა, საქმეთა მართვის დღევანდელი სისტემა საფრთხეს უქმნის საქმიანობის ხარისხსაც. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ერთ სასამართლოში, ერთი და იმავე სპეციალიზაციის მოსამართლეები არათანაბრად არიან დატვირთული. გარდა ხარისხისა, ეს მოქმედებს საქმიანობის ეფექტიანობაზეც და ხელს უშლის როგორც მოსამართლეთა, ისე მთლიანად სისტემის პროდუქტიულობასაც.

3. სასამართლო სისტემაში მართვის/მენეჯმენტის და ადმინისტრირების ეფექტურობის ნაკლებობა;¹¹

სასამართლოს სპეციფიკიდან გამომდინარე მენეჯმენტის სიმძლავრეების განვითარება არ არის პირველი მნიშვნელობის პრიორიტეტი, თუმცა მათი არასათანადო განვითარება, თავად სამოსამართლო საქმიანობის ხელშემშლის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ მესამე ტალღა გარკვეულწილად ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელებას ენება, დღევანდელი ორგანიზაციული მოწყობა სათანადოდ ვერ ეხმარება საბჭოსა და სასამართლოებს თავისი დანიშნულების შესრულებაში. საერთო სასამართლოებში და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადასახედია ფუნქციათა განაწილება, შეხვედრებისა და გადაწყვეტილებების მიღების ფორმატები, გასავითარებელია მოსამართლეების, მონელეებისა და მენეჯერების უნარები მართვისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

4. ელექტრონული საქმისწარმოების ერთგვაროვნების და ინტეგრაციის ნაკლებობა;

საერთო სასამართლოებში მოქმედი ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა, რიგი ხარვეზებით მუშაობს, რისი მიზეზიც მოძველებული სერვერული ინფრასტრუქტურა იყო, რომელიც განახლდა და პროგრამის მუშაობის სისწრაფის კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია. მიუხედავად

¹¹ ევროპული სასამართლო სისტემების ადმინისტრირება და მენეჯმენტი - CEPEJ Studies No.

10 <http://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/series/Etudes10Admin_en.pdf>;

CCJE - დასკვნა #6- სასამართლოს ადმინისტრირება, მოსამართლის საქმიანობის მხარდაჭერა, არასამოსამართლო ფუნქციები

<[https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE\(2004\)OP6&Sector=secDGHL&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=FEF2E0&BackColorIntranet=FEF2E0&BackColorLogged=c3c3c3&direct=true](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE(2004)OP6&Sector=secDGHL&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=FEF2E0&BackColorIntranet=FEF2E0&BackColorLogged=c3c3c3&direct=true)>

ამისა, არ არის სათანადოდ დახვეწილი პროგრამის მოხმარების სახელმძღვანელო; პროგრამაზე მიბმული გადაწყვეტილების გამოქვეყნების ფუნქცია; ვერ ხდება სათანადო ინფორმაციის ამოღება პროგრამიდან ადგილობრივ დონეზე; არ არის საერთო სასამართლოების ვებგვერდები უნიფიცირებული.

5. სასამართლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე;

სასამართლოსთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ერთ-ერთი ძლიერი მხარეა, თუმცა ის მუდმივად საჭიროებს განახლებას. გარდა იმისა, რომ სასამართლოში შემოსული საქმეების რაოდენობა იზრდება და დღეს სასამართლო სათანადოდ ვერ პასუხობს ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ამ ტენდენციას, ასევე, ვერ ხდება დროულად სასამართლოს პრიორიტეტების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება. იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს მომსახურების კომპონენტის გაძლიერების, ახალი სერვისების გაჩენისა და ანალიტიკური ფუნქციების განვითარების საჭიროება, ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის განვითარების მიმართულებით, შესაბამისი ცვლილებებია განსახორციელებელი.

ძირითადი ამოცანები

1. მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების ოპტიმალური რაოდენობისა და გონივრული დატვირთულობის უზრუნველყოფა;

ამოცანა გულისხმობს მოსამართლეებისა და მოხელეების დატვირთულობას ისე, რომ ისინი ახერხებდნენ დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების გონივრულ ვადაში შესრულებას, საქმიანობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებით. მნიშვნელოვანია, რომ პერიოდულად ხდებოდეს დატვირთულობის ანალიზი, მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა რაოდენობის რაციონალიზაცია და საქმეთა ეფექტური მართვა.

2. დაგროვილი საქმეების შემცირება და სამართალწარმოების პროცესის ვადების ოპტიმიზაცია;

ამოცანა გულისხმობს სამართალწარმოების პროცესში ვადების ოპტიმიზაციის შესაძლებლობების გამოვლენას, ასევე დაგროვილი საქმეების წინაპირობების ანალიზს და შესაბამისი ცვლილებების ინიცირებას და განხორციელებას, რამაც სწრაფი მართლმსაჯულების ამოცანის გადაჭრას უნდა შეუწყოს ხელი.

3. სასამართლოს სისტემის მენეჯმენტის და ადმინისტრაციული სისტემის გაძლიერება;

ამოცანა გულისხმობს სასამართლოების, საბჭოს, აპარატის, სკოლის სტრუქტურული მოწყობის გადახედვას და მათ განვითარებას ისე, რომ მათი ორგანიზაციული მოწყობა სრულად და სათანადოდ პასუხობდეს სასამართლო სისტემის წინაშე მდგარ ამოცანებს. ასევე, ამოცანა გულისხმობს სისტემურ დონეზე მართვისა და ადმინისტრირების სიმძლავრეების, მათ შორის

უნარების განვითარებასაც. ამასთან ყურადღების გამახვილება უნდა მოხდეს სასამართლო(ები)ს საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების განვითარებაზე.

4. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება სისტემის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად;

ამოცანა გულისხმობს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, კერძოდ მედიაციის განვითარებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის, მართლმსაჯულებით კმაყოფილებისა და სასამართლო სისტემის მოქნილობის საკითხის მოწესრიგებას. ასევე, მოსამართლეთა გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების პრობლემის მოწესრიგებას.

5. ელექტრონული მმართველობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება სისტემის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად

ამოცანა გულისხმობს მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის იმგვარად განვითარებას, რომ ეს დაეხმაროს სასამართლო სისტემას ეფექტიანობის გაზრდაში. მნიშვნელოვანია რომ მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების კონცეფცია შემუშავდეს IT აუდიტის დასკვნის საფუძველზე.

6. პარტნიორ სტრუქტურებთან ურთიერთობის განვითარება.

ამოცანა გულისხმობს ეფექტური ფორმატებისა და მიდგომების განვითარებას აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან, მედიასთან, საერთაშორისო სასამართლოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აკადემიურ წრებთან გამომდინარე იქიდან, რომ ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა მათზეც არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული. შესაბამისად, სასამართლოს მიერ პარტნიორებთან ურთიერთობების შემდგომი განვითარება მხარდამჭერი წინაპირობა იქნება ხარისხის უზრუნველსაყოფად.

მთავარი ზომები, გამოწვევებისა და ამოცანების საპასუხოდ

1. საქმეთა განაწილების და მართვის ეფექტური პრინციპის შემუშავება და დანერგვა;

საქმეების სწორ განაწილებასა და ეფექტურ მართვას შეუძლია აამაღლოს მუშაობის პროდუქტიულობა და თითოეული მოსამართლის რესურსის გამოყენება უფრო ეფექტური გახადოს. უნდა განისაზღვროს და დადგინდეს ერთ მოსამართლეზე საშუალო გონივრული საქმეების რაოდენობა, საქმეების კატეგორიზებისა და სასამართლოების მიხედვით დატვირთულობის განსაზღვრის მიზნით შესაძლოა გამოვიყენოთ საქმეებისათვის წონების მინიჭების მეთოდი, იმისათვის რომ თითოეულ მოსამართლეზე გარდა საქმეების რაოდენობის დარეგულირებისა, განაწილება მოხდეს საქმეების

წონების გათვალისწინებითაც. მესამე ტალღით გათვალისწინებულია საქმეთა განაწილების ელექტრონული პრინციპის შემუშავება, რომლის მიხედვითაც საქმეები განაწილდება ავტომატურად, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მოსამართლეთა თანაბარ დატვირთულობასა და დამოუკიდებლობას. მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული პროგრამა მაქსიმალურად იყოს დაცული შეღწევებისა და მანიპულაციებისგან.

2. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა;

საქმეთა მომართვიანობის ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა, რაც შეიძლება გულისხმობდეს როგორც მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდას კონკრეტულ სასამართლოებში, ისე პირიქით.

3. ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის გატარება;

ორგანიზაციული სტრუქტურის რეფორმა უნდა განხორციელდეს ეტაპოვნურად სასამართლო სისტემის სხვადასხვა ნაწილებში - სამივე ინსტანციის სასამართლოებში, ასევე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და მის დაქვემდებარებულ სტრუქტურებში. მნიშვნელოვანია გამოიყოს რიგი საკითხებისა, რომლებიც ამ პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. უნდა მოხდეს მესამე ტალღით გათვალისწინებული მენეჯმენტის დეპარტამენტის ამოქმედება. ასევე, უნდა განვითარდეს სასამართლოების საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მიდგომა. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სისტემაში მომუშავე თანამშრომლების ფუნქციები, მათ შორის უნდა დაიხვეწოს სასამართლოს მენეჯერის ინსტიტუტი. უნდა მოხდეს სამდივნოების, ანალიტიკური და განზოგადების ერთეულების სტრუქტურული გაძლიერება, რათა მოსამართლეთა მხარდაჭერის ხარისხი გაიზარდოს. მნიშვნელოვანია სტატისტიკის წარმოებისა და ანალიტიკის სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება, ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობების ერთეულების სტრუქტურული გაძლიერება, მათი კოორდინაციის ფორმატების გაუმჯობესება. სტრუქტურული ცვლილებების ჭრილში განხილულ უნდა იქნას სპეციალიზებული პალატების, მათ შორის კომერციული პალატების კონცეფციის დანერგვა და ამოქმედება. უნდა დაიგეგმოს და გაუქმდეს რეზერვის ინსტიტუტი.

4. სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის განვითარება;

5. ადამიანური რესურსების მართვის სისტემისა და პროცესის დახვეწა;

უნდა არსებობდეს ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარებისთვის კოორდინირებული და ურთიერთდაკავშირებული ადამიანური რესურსების მართვის სისტემა. HR სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა პროფესიონალიზმის ამაღლება და ცოდნის განახლება, მართვის ახალი მეთოდების და მიდგომების სწავლება ადამიანური რესურსების მართვის

პროცესს უფრო მოქნილს და თანამედროვეს გახდის. უმნიშვნელოვანესია არსებობდეს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებისა და გაზომვის მექანიზმი, რომლითაც მოხდება პერიოდული შეფასება და შედეგები აისახება თანამშრომელთა მოტივაციასა და კარიერულ განვითარებაზე. ერთი და იმავე ან ცალკეული სასამართლოების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა მექანიზმის შექმნა, რომ სასამართლო სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის ურთიერთკავშირი არ დაირღვეს. ყველა ეს ცვლილება ადამიანური რესურსის ხარისხსა და შრომის ნაყოფიერებაზე აისახება.

6. შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება სასამართლო ინსტანციებს შორის;

სასამართლო ინსტანციებს შორის კომუნიკაცია ხელს უწყობს მათი ერთიანობის, მთლიანობის განცდის ამაღლებას, სისტემის ინსტიტუციურ განვითარებას, ერთიანი სტანდარტის დანერგვას და საბოლოოდ ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. სასამართლოებს შორის კომუნიკაციის გამარტივებისა და გაუმჯობესებისთვის აუცილებელი კომპონენტია ინტრანეტის დახვეწა. ინტრანეტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში მდებარე სასამართლოებისთვისაც, სადაც დისტანციური კომუნიკაცია კონტაქტის ყველაზე მნიშვნელოვანი არხია, ასევე უმნიშვნელოვანესია შეხვედრების ინტენსიურობის ზრდა, ორგანიზება და ჩატარება, რათა რეგიონებში მდებარე სასამართლოებიც აქტიურად იყვნენ ჩართული სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში. ამას გარდა, ინფორმაციული ნაკადების გახსნა, ახალი არხებისა და მეთოდების დამატება და არსებული ინფორმაციის გაცვლის ერთიანი სისტემის გაუმჯობესება კომუნიკაციის ხარისხს დიდწილად ამაღლებს და გააუმჯობესებს.

7. სასამართლო სისტემის საქმიანობის მთავარი პროცესების ოპტიმიზაცია;

სასამართლო სისტემის მოქნილობისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია მოხდეს მთავარი პროცესების გადახედვა და მათი გაუმჯობესების, ოპტიმიზაციის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გამოვლენა. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროცესები არის მრავალგვარი მნიშვნელოვანია მოხდეს მათგან ყველაზე კრიტიკულების გამოყოფა, სწორი შერჩევა და მათ ოპტიმიზაციაზე მუშაობა. ასეთი მნიშვნელოვანი პროცესები შესაძლოა იყოს: არსებული სამართალწარმოების პროცესის ოპტიმიზაციის შესაძლებლობების კვლევა ინსტანციების დონეზე ყველა ტიპის საქმეზე, სასამართლო სისტემის ბიუჯეტირების პროცესის დახვეწა, ფინანსური მართვის ახალი პროცესების შემუშავება და განვითარება, სტრატეგიული გეგმების მუდმივი განახლება და მართვა/მონიტორინგი;

8. დავების ალტერნატიული საშუალებების შექმნა და არსებულების გააქტიურება;

სასამართლოს და მოსამართლეთა გადატვირთულობის შესამცირებლად ერთ-ერთი გზა დავების ალტერნატიული საშუალებების განვითარება და მათი ეფექტური გამოყენებაა. მედიაციის განვითარება ერთ-ერთი პერსპექტიული

მიმართულებაა, რომლის გააქტიურებასაც შესაძლოა სასამართლო საქმეებისგან განტვირთვის ეფექტი ჰქონდეს. ამისთვის ყველა სასამართლოში უნდა ჩამოყალიბდეს სამედიაციო ცენტრები, ასევე, მნიშვნელოვანია კერძო მედიაციის განვითარება, სასამართლო მორიგების ინსტიტუტის განვითარება და გააქტიურება, ადმინისტრაციული მედიაციის დანერგვა და სისხლის სამართლის მედიაციის გაფართოება. ალტერნატიული საშუალებების გამოყენება და დანერგვა აისახება სასამართლოს ეფექტურობასა და მოქნილობაზე, რაც დადებით გავლენას მოახდენს მომხმარებლების კმაყოფილებაზე.

9. სასამართლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური/ინფრასტრუქტურული გამართვა;

სასამართლო სისტემის იერსახე, გამართულობა, გარემო აისახება არა მხოლოდ მის მომხმარებელზე, არამედ იქ მომუშავე ადამიანთა განწყობაზე, თვითშეფასებაზე, იმიჯზე. სასამართლოების შენობების გამართულობა, იერსახე, მეტყველებს სასამართლო სისტემის სიძლიერეზე და საზოგადოებაში მის სათანადო აღქმას უწყობს ხელს. ასევე, საყურადღებოა სასამართლო დარბაზების შესაბამისი რაოდენობა, რომ არ მოხდეს დარბაზების სიმცირის გამო პროცესების გადადება, გაჭიანურება, დამსწრეთა რაოდენობის შეზღუდვა და ა.შ. სასამართლოთა შენობების სიძველიდან გამომდინარე აქტუალური ამოცანაა ამორტიზებული შენობების რეაბილიტაცია, რაც ასევე საჭიროებს რესურსებისა გადაანაწილებას. გარდა უძრავი ქონების ნაწილისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექნიკური გამართულობისა და სათანადო აღჭურვის საკითხიც.

10. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამართვა და განახლება;

სასამართლო სისტემის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი უდიდესია. რამდენად გამართული და თანამედროვე იქნება მოქმედი ტექნოლოგიები, განაპირობებს მთავარი სამუშაო პროცესების ხარისხს, სისწრაფეს, დროულობას და კომფორტს. სასამართლო სისტემის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება დაგვანებებს გრძელვადიან ჭრილში განსახორციელებელ მოქმედებებს, გადასაჭრელ ამოცანებს და ამისთვის საჭირო რესურსებს. სტრატეგია აუცილებლად უნდა შემუშავდეს პროცესში მონაწილე პირებთან ერთად. აუცილებელია არსებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა და განახლების საჭიროებების გამოვლენა, არსებული ბაზისის განახლება - შიდა და გარე ქსელის ტექნიკური გამართვა, უსაფრთხოებისა და სისწრაფის კუთხით კი, მნიშვნელოვანია ადეკვატური მოცულობის სერვერების განთავსება და IT უსაფრთხოების სისტემების დანერგვა.

a. პროგრამული უზრუნველყოფების განახლება, ინსტანციების დონეზე ინტეგრირება და ახალი პროგრამების შექმნა;

გამართული და სათანადოდ განვითარებული საინფორმაციო-ტექნოლოგიები, განსაკუთრებით კი პროგრამული უზრუნველყოფა დიდ გავლენას ახდენს საქმიანობის ეფექტიანობასა და პროდუქტიულობაზე. ელექტრონული მოდულები გარკვეულ პროცესებს ავტომატურს გახდის, რის შედეგადაც გამოთავისუფლდება ადამიანური რესურსი, რომელიც უფრო პრიორიტეტულ საკითხებზე მიემართება. მაღალი ხარისხის გამართული ელექტრონული საქმისწარმოება, ელექტრონული საქმეთა განაწილების სისტემა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მოდული, იმდენად დიდი მოცულობის საქმის შესრულებას შეძლებს, რაც გამოთავისუფლებს ადამიანურ რესურსს. ასევე, სასურველია მოხდეს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ფუნქციების ელექტრონული უზრუნველყოფა, როგორცაა ბიუჯეტის შემუშავებისა და ფინანსური ანალიზის მოდულის შექნა, ადამიანური რესურსების სისტემის მართვის ელექტრონული მოდული; ელექტრონული არქივი, სტატისტიკის მოდული, სასამართლო გადაწყვეტილებათა ავტომატური გამოქვეყნების პროგრამა, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სხვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია დაიხვეწოს სასამართლოთა ვებგვერდები როგორც ვიზუალური და ფუნქციონალური თვალსაზრისით, ისე შინაარსობრივად, რადგან ვებ-გვერდი ყველაზე აქტიური არხია საზოგადოებასთან ურთიერთობის, მათი ინფორმირების და სასამართლოს სახესა და იმიჯს უქმნის.

11. მომხმარებელზე ორიენტირებული სასამართლო მომსახურების დანერგვა;

სასამართლო ისევე უნდა ზრუნავდეს მომსახურების ხარისხის განვითარებაზე და მომხმარებლისთვის კომფორტის შექმნაზე. მომსახურების ხარისხის განვითარებისთვის აუცილებელია შეიქმნას მომხმარებელზე ორიენტირებული სასამართლო მომსახურების სტრატეგია, რომელიც სხვა ქვეყნების სასამართლოების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს დაეფუძნება, კერძო სექტორის პრაქტიკას, თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს, რომელიც გაამარტივებს და უფრო კომფორტულს გახდის სასამართლოსთან ურთიერთობას. მომსახურების ხარისხის განვითარების ერთ-ერთი კომპონენტია ერთიანი ქოლ-ცენტრის შექმნა, რომელიც უფრო ხელმისაწვდომი და მარტივი იქნება მომხმარებლისთვის. სასამართლოს მომსახურება კომფორტული უნდა იყოს მედიისთვისაც, ამ მიზნით უნდა შეიქმნას მედია ცენტრი, რომელიც იქნება მაქსიმალურად მორგებული და აღჭურვილი მედიის მომსახურებისთვის საჭირო ყველა რესურსით. მომსახურების ხარისხს ქმნის სასამართლოს მისაღები, რომელიც უშუალოდ ემსახურება მოქალაქეებს. სასამართლოს მისაღების კონცეფციის განვითარება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მოიცვას საქართველოს ყველა საქალაქო სასამართლო, მომსახურების ერთიანი სტანდარტითა და პრინციპებით. უნდა განვითარდეს მისაღების იერსახე და დაეფუძნოს ღიაობის პრინციპს.

12. პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების ფორმატების განვითარება და მართვა.

სასამართლო სისტემის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის, თუ ვისთან და რამდენად ეფექტურად თანამშრომლობს სასამართლო. თანამშრომლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სწორ ფორმატებსა და მათი სწორი პერიოდულობით გამოყენებას. სასამართლო სისტემის პარტნიორობად განიხილებიან დონორები, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, სხვა ქვეყნების სასამართლოები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, საკონსტიტუციო სასამართლო და ა.შ. თითოეულ მათგანთან ღია, რიგ შემთხვევებში პროაქტიული ურთიერთობა, დაეხმარება სასამართლოს დაკავშირებული მხარეების შესაძლებლობები და რესურსები, სასამართლოს განვითარებისთვის სასარგებლოდ გამოიყენოს. მომდევნო წლების განმავლობაში უნდა შენარჩუნდეს და გააქტიურდეს რეგულარული შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან. პარლამენტთან ურთიერთობის განვითარებისთვის სასურველია შეიქმნას საპარლამენტო მდივნის ინსტიტუტი. გასაძლიერებელია ურთიერთობები აღმასრულებელ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან. განსაკუთრებით, კი გასავითარებელია ფორმატები საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობის განვითარებისთვის.

X. V სტრატეგიული მიმართულება: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

სტრატეგიული მიმართულების განმარტება

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ამოცანა გულისხმობს, რომ არ არსებობს ან მინიმუმამდეა დაყვანილი სამართლებრივი, ფინანსური და ინფრასტრუქტურული ბარიერები საზოგადოებისთვის, რომ თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართონ სასამართლოს. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობა არ მოიცავს მხოლოდ სასამართლოს ფორმალურ ხელმისაწვდომობას, თავისთავად გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას, რადგან პირის უფლებების დასაცავად გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო,¹² რომელიც თავის მხრივ ემყარება კონსტიტუციას და საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

ძირითადი გამოწვევები

¹² ECtHR, *Khalfouli v. France*, No. 34791/97, 14 December 1999, para. 37

- 1. საკანონმდებლო ბაზის გაუმართაობა სამართალწარმოებისას პროცესის მონაწილე მხარეთა თანასწორობის პრინციპის სათანადოდ დასაცავად**
სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღარ არის ინკვიზიციური, რამაც თავის მხრივ მოსამართლის როლი მნიშვნელოვანწილად შეზღუდა, თუმცა მეორეს მხრივ დაცვის მხარის შესაძლებლობები გაზარდა და ბრალდების მხარის მსგავსად მიანიჭა შესაძლებლობა, თავად მოიპოვოს მტკიცებულებები პროცესში. მართალია საპროცესო კოდექსის პრინციპები აგებულია იმის მიხედვით, რომ პროცესუალური უფლებების თვალსაზრისით, გათანაბრება მოხდეს დაცვის მხარის ბრალდების მხარესთან. თუმცა, დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კვლავ შეიცავს ისეთ ხარვეზებს, რომელიც დაცვის მხარეს სისხლის სამართლის პროცედურების განხორციელებისას, მთელ რიგ შეზღუდვებს უწესებს, ბრალდების მხარესთან შედარებით. ასევე რიგი შემთხვევების გარდა მოსამართლის შეკითხვის დასმის უფლებას არ ითვალისწინებს.
- 2. უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ასევე არასრულწლოვანი მოწმის იურიდიული დახმარების უფლებით სარგებლობის პრობლემა**
არასრულწლოვანი მოწმის შემთხვევაში არ ხდება უფასო იურიდიული დახმარების დანიშვნა, რამაც შესაძლოა პროცესის მონაწილეთა უფლებების არასთანადო დაცვა და კოდექსის მიზნებთან შეუსაბამობა გამოიწვიოს. დამატებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, არ არის უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარება მოსამართლეების ჩართულობით და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობა**
ბოლო წლებში სასამართლოში მომართვიანობის ზრდამ გააჩინა ხარვეზები ინფრასტრუქტურული ბაზის გამართულობაში (განსაკუთრებით ეს ეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს), ასევე, რიგ სასამართლოებში ვხვდებით ინფრასტრუქტურული ბაზის სიმცირეს, როგორცა დარბაზები, მოსაცდელი სივრცეები და ა.შ. სასამართლოს დღევანდელი ინფრასტრუქტურა და გარემო ნაკლებად არის მორგებული მოწყვლად ჯგუფებზე, განსაკუთრებით ადაპტირებული გარემო პრობლემაა შ.შ.მ. პირებისთვის (მათ შორის, განსაკუთრებით, უსინათლოებისთვის).
- 4. სასამართლოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ნაკლებ ეფექტურობა - ვებ-გვერდების გაუმართაობა, დოკუმენტბრუნვის არაერთგვაროვნება;**
პრობლემა სასამართლოებში ვებ-გვერდების ერთიან ფორმატში ფუნქციონირება და ერთიანი კომუნიკაციის წესების შემუშავება საზოგადოებასთან საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით.
- 5. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის პრობლემა**
მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კანონმდებლობით სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, ტექნიკურ

დონეზე გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გარკვეული ხარვეზებია და გასაუმჯობესებელია გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზის ფუნქციონირება.

6. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასაშვებობისა და ერთპიროვნული განხილვის პრობლემა;

7. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობა და საორგანიზაციო საკითხების შესაბამისი მოწესრიგება;

ნაფიც მსაჯულთა სისტემის 2009 წლის 9 ოქტომბერს დაინერგა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, რომელიც თავდაპირველად თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში, ხოლო 2016 წლის 24 ივნისს რეფორმის შედეგად ბათუმისა და რუსთავის საქალაქო, ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში ამოქმედდა.

შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა კვლავ რეფორმირების პროცესშია, და საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირების დონე არასათანადოდ მაღალია, რაც გამოიხატება ამ ინსტიტუტის გამოყენების დაბალი მაჩვენებლითაც.

8. საზოგადოებაში სასამართლოს შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;

სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოებას, სხვა ხელისუფლებებთან შედარებით უფრო ნაკლები ინფორმაცია აქვთ, განსაკუთრებით მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, რასაც ხშირად, უსაფუძვლო საჩივრების წარდგენა მოყვება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომ საზოგადოებამ შეიძლება არ იცოდეს სრულად მისი უფლებების შესახებ და არ ქონდეს ინფორმაცია სასამართლოს ადმინისტრირების საკითხებზე, გასაჩივრების მექანიზმზე და დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებზე.

9. დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილებების ნაკლებობა, სასამართლო გადაწყვეტილებების სტრუქტურის, ფორმისა და ერთიანი სტანდარტის არარსებობა

კვლავ პრობლემას წარმოადგენს უნიფიცირებული სასამართლო პრაქტიკის არარსებობა. დამატებით, მართალია ანალიტიკური განყოფილება უზენაეს სასამართლოში ახდენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის თაობაზე ინფორმაციის მოსამართლეებისთვის მიწოდებას, თუმცა, არ არსებობს ერთიანი რეკომენდაცია, საერთაშორისო გადაწყვეტილებების მითითების დროს შესაბამისი წესების და სტანდარტების გამოყენების თაობაზე. ამასთან, შესამუშავებელია რეკომენდაცია, სასამართლო გადაწყვეტილების ერთიანი აგებულების, სტილის და სტრუქტურის თაობაზე.

მთავარი ამოცანები

1. **სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით;**
ამოცანა გულისხმობს ინიციატივებს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების თაობაზე, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის უფლება ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს და მხარეთა თანასწორობის უფლებით სამართალწარმოების პროცესში.
2. **საზოგადოებისთვის, დისკრიმინაციის გარეშე, სასამართლოზე თანაბარი წვდომის და საჭირო სერვისების ქონის უზრუნველყოფა;**
ამოცანა გულისხმობს საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისთვის (არასრულწლოვნები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, ქალები, ბავშვები და ა.შ.) სასამართლოს თანაბარ ხელმისაწვდომობას საჭირო სერვისების და შესაბამისად ადაპტირებული გარემოს მოწყობით და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების გზით. უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების საკითხებში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მოსამართლის ჩართულობას, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლის როლის და ჩართულობის განსაზღვრას; დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების შემდგომ განვითარებას საერთო სასამართლოების სისტემაში;
3. **ინოვაციური მომსახურების შეთავაზება, ხარისხის, სიმარტივის, სისწრაფის, კომფორტის უზრუნველყოფით;**
ამოცანა გულისხმობს მომსახურების ხარისხის მუდმივ განვითარებას, მომხმარებლებისთვის სასამართლო სერვისებით სარგებლობისას მაქსიმალური სიმარტივისა და კომფორტის შექმნას. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო მომსახურებაში ნერგავდეს ინოვაციურ სიახლეებს თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების შესაბამისად, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული ფორმატით ხელმისაწვდომობის და საერთაშორისო ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით
4. **სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა;**
ამოცანა გულისხმობს საზოგადოების ინფორმირებას რა სახის სამართალწარმოება შეიძლება იყოს წამოწყებული, სამართალწარმოების სავარაუდო ხანგრძლივობა, მასთან დაკავშირებული ხარჯები, სამართლებრივი მექანიზმების არამართებულ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები და სხვა.

მთავარი ზომები, ამოცანებისა და გამოწვევების საპასუხოდ

1. ეროვნული პრეცედენტული პრაქტიკის ჰარმონიზება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკასთან;

ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის განუყოფელი ნაწილი სამართლებრივი დონის დაახლოება და ჰარმონიზაციაა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი, ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც შეიძლება გადაწყდეს სასამართლო საქმე. ეროვნული სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის გამოყენება ასევე მჭიდროდ უკავშირდება სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხს. მხარეს შეუძლია თავისი პოზიციის დასაბუთებლად მოიშველიოს ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ჰარმონიზების პროცესი შესაძლოა ხანგრძლივი იყოს, თუმცა მტკიცე საფუძვლები არსებობს რომ მოხდეს ეროვნული პრეცედენტული პრაქტიკის ჰარმონიზება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკასთან;

2. მოსამართლის როლისა და მხარდაჭერის გაძლიერება (მხარეთა თანასწორობის და სასამართლოს სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშესაწყობად სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში);

მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა გადაინდოს, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საერთო სასამართლოების პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა გაუმჯობესდეს, მტკიცებულებების წარდგენის წესის, შეკითხვების დასმის საკითხებზე მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის პრაქტიკაში სრული რეალიზების თვალსაზრისით, რაც დროში ეფექტურად განხილული და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს.

3. სასამართლო პრაქტიკის უნიფიცირებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, გარდა სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი სამართლებრივი ბაზის ფორმირებისა, გაძლიერდეს სასამართლოებში ანალიტიკური და პრაქტიკის განვითარების განყოფილებები. მნიშვნელოვანია, რომ ანალიტიკური მიმართულება სასამართლოებში გაძლიერდეს, მათ გააჩნდეთ აქტიური ბმა უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურ და პრაქტიკის განვითარების განყოფილებებთან, რათა ეფექტურად მოხდეს სასამართლო მოხელეებისთვის ინფორმაციის დამუშავება და მიწოდება მიმდინარე პრაქტიკის და საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე. გარდა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განვითარებისა, უნდა გააქტიურდეს როგორც საკონსტიტუციო, ისე საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, დამუშავება და რაც შეიძლება ეფექტური ფორმით მიწოდება მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისთვის. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გასაძლიერებელია პრაქტიკის დანერგვის სამუშაოები, მოსამართლეთათვის პერიოდული სემინარების, ლექციებისა და შეხვედრების სახით.

4. დავის ალტერნატიული საშუალებების დანერგვა (მათ შორის მედიაციის განვითარების მხარდაჭერა და რეგიონალური მედიაციის ცენტრების გახსნა);

დავების ალტერნატიული საშუალებების განვითარება ეფექტური გზაა სასამართლო ხელმისაწვდომობის მოქნილობის გასაზრდელად. სასამართლოს მომხმარებლისთვის. ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სასურველია მოხდეს არამართო დავების ალტერნატიული საშუალებების დანერგვა, არამედ საზოგადოებაში მათზე ინფორმაციის გავრცელება. კერძოდ, ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს ყველა სასამართლოში სამედიაციო ცენტრების ჩამოყალიბება, უნდა განვითარდეს მედიაციის ფორმები და ამასთან მოხდეს მათ შესახებ საზოგადოების სათანადო ინფორმირება.

5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაძლიერება მათ შორის რეგიონების დონეზე;
ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უფრო აქტიურად გამოყენება და გაძლიერება მნიშვნელოვანია მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით კი რეგიონებში. ამ ინსტიტუტის ცნობადობისა და ნდობის გასაზრდელად აქტიური სამუშაოებია ჩასატარებელი.

6. შ.შ.მ. პირებისთვის საკანონმდებლო რეგულირების და პრაქტიკის გაუმჯობესება და ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა;

მოწყვლად კატეგორიებში იგულისხმება ის სოციალური ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას საჭიროებს, მაგალითად, როგორცაა არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქალები, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები და ა.შ. უნდა მოხდეს დღევანდელი საკანონმდებლო რეგულაციების მაქსიმალური მორგება მათ ინტერესებზე, რისთვისაც საჭიროა გადაიხედოს და დაიხვეწოს არსებული პრაქტიკა.

გასაანალიზებელია, თუ რამდენად პასუხობს არსებული სასამართლო სისტემა შ.შ.მ. პირების საჭიროებებს. საჭიროა მოხდეს გარემოს ადაპტირების ყველა შესაძლებლობის გამოვლენა და გამოყენება, უფრო კონკრეტულად: ინფრასტრუქტურის სათანადოდ მოწყობა, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არსებობა, სერვისების მიწოდების არხებისა და ფორმების მორგება, ასევე ინსტრუქციების და სასამართლო და საპროცესო დოკუმენტების მათთვის მარტივ და გასაგებ ენაზე შემუშავება;

7. ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით სასამართლო პროცედურების გაუმჯობესება და შესაბამისი გარემოს შექმნა სასამართლოში;
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გაიდლაინი განსაზღვრავს სასამართლოში ბავშვისთვის მეგობრული გარემოს შექმნას, რაც გულისხმობს, ბავშვზე მორგებული პროცედურების განვითარებას. შესაბამისმა პირებმა უნდა შექმნან უსაფრთხო და მეგობრული გარემო და გამოიყენონ შეკითხვის დასმის სწორი მეთოდები. ასევე, უნდა დაიცვან ბავშვი მსხვერპლი და ბავშვი მოწმე ფსიქოლოგიური ტრავმისაგან. სასამართლომ უნდა შეიმუშავოს გაიდლაინები და შესაბამისი საშუალებები პროფესიონალების ჩართულობით და აწარმოოს პროცედურები, რომ სათანადო მხარდაჭერა აღმოუჩინოს ბავშვებს პროცესის დაწყებამდე, პროცესის დროს და პროცესის შემდეგ.

8. თარჯიმნის სერვისის გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
სასამართლომ უნდა შეძლოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს იმ პირებისთვისაც, ვინც არ ფლობს ქართულ ენას. უნდა განისაზღვროს სასამართლოები, სადაც არის თარჯიმნების დამატების ანდა თარჯიმნის

სერვისის გაუმჯობესების საჭიროება და უნდა დაიგეგმოს ამ მიმართულებით შესაბამისი საჭირო ღონისძიებები.

9. სასამართლოს ხელმისაწვდომობის საჭიროების ანალიზი

სასამართლოს ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას ტერიტორიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის ნიშნითაც. უნდა გაანალიზდეს ტერიტორიულ-გეოგრაფიული დაფარვის კუთხით რამდენად ხელმისაწვდომია დღეს სასამართლო, განსაკუთრებით მაღალმთიან და არამჭიდროდ დასახლებული რეგიონებისთვის.

10. სასამართლოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოქალაქეებისთვის სწრაფი, მარტივი და კომფორტული სერვისის მისაღებად;

სასამართლოს მომსახურების ხარისხისა და სისწრაფის გაუმჯობესებისთვის უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირება და სათანადო გაუმჯობესება, ისე, რომ მომხმარებლებისთვის სასამართლოს შენობით სარგებლობა და მისი ინფრასტრუქტურის დახვეწა, იმგვარად, რომ ადვოკატებისთვის გამოყოფილი იყოს სპეციალური საქმის გაცნობის ოთახები, ისევე როგორც მოქალაქეებს გააჩნდეს სრული წვდომა სასამართლოს სერვისებზე

11. ელექტრონული მართლმსაჯულების განვითარება და სასამართლოებში მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების დანერგვა:

მომსახურების განვითარება და ახალი სერვისების დამატება სასამართლოს დაეხმარება ხელმისაწვდომობის გაზრდაში. საუბარია, ისეთი ტექნოლოგიური და ინოვაციური სერვისების განვითარებაზე, რომელიც მაქსიმალურად ორიენტირებულია მომხმარებელს გაუმარტივოს სასამართლოსთან ურთიერთობა და იზრუნოს მის კმაყოფილებაზე. სამაგალითოდ, ეს იქნება სარჩელის დისტანციურად აღძვრისთვის დოკუმენტების ელექტრონულად მიღება, პროცესების ელექტრონული ინიცირების სისტემა, დარეგისტრირება სხდომებზე წინასწარ დასასწრებად, ბაჟის ელექტრონულად გამოთვლა, და ა.შ. სატელეფონო კომუნიკაცია კვლავ რჩება სასამართლოსთან ურთიერთობების ერთ-ერთ აქტიურ საშუალებად. მომხმარებელთა კმაყოფილებისთვის საჭიროა ამ სერვისის შემდგომი გაუმჯობესება.

12. საზოგადოებაში სასამართლოს საქმიანობაზე ცოდნის ამაღლება:

საზოგადოებისთვის სასამართლოს საქმიანობის გაცნობა და წარმოდგენის გაფართოება ხელს შეუწყობს სასამართლოს აღქმას, როგორც სანდო, საიმედო ინსტიტუციის. ამისთვის, აუცილებელია გეგმაზომიერი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით: სასამართლოს მუშაობის ზოგად პრინციპებზე, პროცესებზე, წესებსა და სხვა პროცედურებზე მოკლე გასაგები ინფორმაციის მომზადება და საზოგადოებაში აქტიური გავრცელება სხვადასხვა არხებით - მათ შორის პარტნიორების დახმარებით: იურიდიული დახმარების სამსახური, ადვოკატურა, სოციალური უზრუნველყოფის სამსახური და სხვა; მოქალაქეებისთვის სპეციალური გზამკვლევების მომზადება და გამოქვეყნება; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რომლებიც სასამართლო სისტემას აღწერენ და სასამართლოებში ვიზიტებს ითვალისწინებენ; პრევენციული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ა.შ.

13. სასამართლოს მიმართვის უფლებისა და სასამართლოს სერვისების შესახებ საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება;

სასამართლოს ხელმისაწვდომობის ამაღლებაზე მუშაობის პარალელურად არანაკლებ საყურადღებოა ხდებოდეს სასამართლოს სერვისებისა და მიმართვის უფლების პრომოუშენი და მოქალაქეთა ინფორმირება ამ უფლებისა და მისი გამოყენების მეთოდების შესახებ. მაგალითად: მედიაციის და სხვა სერვისების პრომოუშენი, სასამართლოს მისაღებებში პრობონო სერვისების შესახებ ინფორმაციის განთავსება და ა.შ.

14. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა დასახვეწი და გასაუმჯობესებელია, რაც მხოლოდ ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის მიმართულებებით გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას მოიცავს. ამასთან, აუცილებელია სასამართლოებში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მუდმივი ტრენინგი და საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, სამოქალაქო საზოგადოების წევრებისთვის, ინფორმაციის დროულად, ეფექტურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მიწოდების მიზნით. სასამართლო ბიუჯეტის თაობაზე ინფორმაციის ნაკლებობა საზოგადოებაში წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარვეზს სასამართლოს საქმიანობის თაობაზე, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფინანსების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გასაუმჯობესებელია.

XI. სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი

მიზანი:

სასამართლო სისტემის სტრატეგიის განხორციელების ეფექტურობისა და მიღწეული შედეგების ობიექტური, დროული და ზუსტი შეფასება, რათა სასამართლოს შეეძლოს სტრატეგიის განხორციელება რაც შეიძლება მაღალი ხარისხით.

ამოცანები:

1. სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი;
2. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება;
3. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მუდმივი დახვეწა-განახლება;

სტრატეგიის განხორციელების მიდგომა - სამოქმედო გეგმა

სტრატეგიის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სტრატეგიულ ამოცანებთან და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ და დროულ გადაჭრას. სამოქმედო გეგმაში ასახულია მსხვილი პროგრამები, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილია შედარებით წვრილ მოქმედებებად. მოქმედებები გაწერილია ვადებში, დადგენილია საჭირო რესურსები და განხორციელებაზე პასუხისმგებელი და თანაპასუხისმგებელი ორგანოები. ასევე, თითოეულ მოქმედებაზე გაწერილია შედეგისა და გავლენის ინდიკატორები. ინდიკატორების საშუალებით ხდება შესრულების ეფექტისა და შედეგის შეფასება და გაზომვა.

განმახორციელებელი და მაკოორდინირებელი რგოლები

გეგმების მონიტორინგის, შესრულების შეფასების და განახლების პროცესი საჭიროებს ჩართული ორგანიზაციების მჭიდრო კოორდინაციასა და კომუნიკაციას. სტრატეგიის განხორციელების პროცესში მონაწილეობენ პასუხისმგებელი უწყებები ან პირები, სტრატეგიული კომიტეტი, კომიტეტის სამდივნო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და საბჭოს ის წევრები, რომლებიც არიან პასუხისმგებელი სტრატეგიულ მიმართულებებზე. ყველა ჩართული მხარის კოორდინაციას ახდენს სტრატეგიული კომიტეტის სამდივნო.


კომიტეტის სამდივნო არის მათორგანიზებელი ორგანო, რომელიც ტექნიკურ, ინფორმაციულ მხარდაჭერას უწევს ჩართულ მხარეებს, გეგმავს და ატარებს შეხვედრებს, პრეზენტაციებსა და განხილვებს.

საბჭოს წევრები/სტრატეგიულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირები საკუთარი მიმართულებით გეგმის შესრულების ანალიზსა და ცვლილებების ინიცირებას ახდენენ.

უმაღლესი საბჭო ამტკიცებს პროექტებსა და გეგმის ცვლილებებს და ისმენს ანგარიშებს.

სტრატეგიული კომიტეტი გენერალურად აჯამებს შედეგებს და გეგმავს შემდგომ ნაბიჯებს.

მონიტორინგის და შეფასების პროცესი



6 თვეში ერთხელ პასუხისმგებელი ორგანოები ამზადებენ ანგარიშებს დაკისრებული მოქმედებების შესრულების შესახებ. ანგარიშებს აგროვებს კომიტეტის სამდივნო და პრეზენტაციების ფორმატში ამზადებს სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად. პრეზენტაციები ეგზავნებათ სტრატეგიული მიმართულების ხელმძღვანელებს / საბჭოს წევრებს, რომლებიც აკეთებენ ანალიზს, პრობლემური საკითხებისა და ახალი შესაძლებლობების გამოვლენას და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებენ ინიციატივებს გეგმების ცვლილებაზე. სტრატეგიული მიმართულების ხელმძღვანელები იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე ატარებენ 6 თვის ანგარიშების პრეზენტაციებს. საბჭო ისმენს და იღებს გადაწყვეტილებას გეგმის ცვლილებასა და პროექტების დამტკიცებაზე. წელიწადში ერთელ ხდება სტრატეგიული კომიტეტის მოწვევა, სადაც განიხილება წლის შედეგები, ტარდება პრეზენტაციები და იგეგმება შემდგომი ნაბიჯები.

ანგარიშების ტიპები

სტრატეგიის განხორციელების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში გამოიყენება სამი ტიპის ანგარიში:

1. პროგრესის შესახებ ანგარიში

პროგრესის შესახებ ანგარიში მზადდება პასუხისმგებელი ორგანოების მიერ, რომელშიც ასახულია პასუხისმგებელი ორგანოს მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესი და მიღწეული შედეგები. პროგრესის შესახებ ანგარიში მზადდება ყოველ 6 თვეში ერთხელ.

2. მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში მომზადდება ყოველი წლის ბოლოს სტრატეგიული კომიტეტის სამდივნოს მიერ და წარედგინება სტრატეგიულ კომიტეტს დასამტკიცებლად. ანგარიშიში ასახული იქნება პასუხისმგებელი უწყების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესი და მიღწეული შედეგები. ანგარიშს საფუძვლად დაედება პასუხისმგებელი უწყებების მიერ კომიტეტის სამდივნოსთვის ყოველ 6 თვეში ერთხელ მიწოდებული პროგრესის შესახებ ანგარიში განხორციელებული ღონისძიების შესახებ.

3. შეფასების ანგარიში

ანგარიში მიზნად ისახავს ორი საანგარიშო წლის განმავლობაში პასუხისმგებელი უწყებების მიერ განსაზღვრული ღონისძიებების საშუალებით მიღწეულ შედეგებს და მათი ეფექტიანობის შეფასებას. შეფასების ანგარიში მომზადდება ორი საანგარიშო წლის ბოლოს კომიტეტის სამდივნოს მიერ და წარედგინება სტრატეგიულ კომიტეტს.